ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ორშაბათს და ხუთშაბათს | №117 (1627) | 22-24 დეკემბერი, 1997 წელი | ფასი 50 თეთრი

სტალინის ჰორროსკოპი

მეცხრე გვერდი

გარდიკო სალ-სალაშათი დაგვიბრუნდა

20 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ თავისი შექმნის 7 წლისთავი საზეიმო ვითარებაში აღნიშნა. ოფიცერთა სახლის სამხედრო მოსამსახურეებით გაჭედილ დარბაზში სამხედრო მარშის გრიალის ფონზე, მოსკოვიდან 19 დეკემბერს დაბრუნებული გენერალ-ლეიტენანტი ნადიბაიძე ქართულ სამხედრო ელიტას შემოუძღვა.

შეიარაღებული ძალების დროშების შემოტანის შემდეგ ტრიბუნიდან გაერთიანებული სამხედრო აკადემიის წინამძღვარმა, მამა ზენონმა მოულოცა ეროვნულ გვარდიას დაბადების დღე. მანვე მადლობა შესწირა უფალს სამშობლოში მინისტრის ჯანმრთელად და უვნებლად დაბრუნებისათვის და დღეგრძელობა უსურვა მას. შემდეგ სცენაზე გვარდიის სამმართველოს უფროსი, მინისტრის პირველი მოადგილე, ჯემალ ჭუმბურიძე გამოჩნდა. გვარდიის ხანმოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ, გენერალმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბრძოლები გაიხსენა.

ჭუმბურიძის ერცელი გამოსვლის შემდეგ „კერკეტი კაკალივით“ მინისტრი წარსდგა საზოგადოების წინაშე და ფასიანი საჩუქრებითა და წოდებებით დააჯილდოვა გვარდიის გამოჩენილი ოფიცრები. ხანგრძლივი მოლოცვებისა და ტაშის შემდეგ საზეიმო სხდომა საზეიმო კონცერტმა დაასრულა. (გეა)



ზვიადისტები კონფლიქტის წყაროდ აღიქმებიან

ევროპის ადამიანის უფლებების კომისიის მონაცემებით, საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებები მეტ-ნაკლებად დაცულია. ყველაზე რთული სიტუაცია ამ მხრივ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთშია. კერძოდ, აფხაზეთში ქართველი უმცირესობის წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ დაბრუნდნენ საცხოვრებელ ადგილებში, ოსეთის სოფლები კი ძირითადად „ეთნიკურად სუფთაა“. კომისიის აზრით, კონფლიქტის ზონებში რთული სიტუაციაა და უახლოეს მომავალში მოლაპარაკებებით პრობლემის გადაწყვეტა მოსალოდნელი არ არის, კონფლიქტის ზონები ძალადობის განახლების მუდმივ საშიშროებას წარმოადგენენ.

კომისია პრობლემად მიიჩნევს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მომხრეების ქმედებასაც. კომისიის აზრით, კონფლიქტის გარკვეულ წყაროდ ე.წ. ზვიადისტებიც შეიძლება გახდნენ, რადგან მათი თქმით, ზოგიერთი „ზვიადისტი“ ფანატიზმამდე დავიდა. (გეა)

საით მიდის საქართველო

„დასავლური“ საქართველო:
მითები და რეალობა

3 3

ქუთაისი

ზაზა შენგელიამ შაშიაშვილს საქართველოში რეფორმებისა და სულიერებისთვის მებრძოლი უწოდა

18 ნოემბერს სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან, ზაზა შენგელიასთან და სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის რეგიონში თემურ შაშიაშვილმა საზეიმოდ დაიფიცა, რომ იმერეთი ახალ წელს ვალის გარეშე შეხვდება.

მისი თქმით, აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობის გამო სახელმწიფო 2-3 მლნ ლარს კარგავს. შაშიაშვილი იმედოვნებს, რომ 50-60 ლარის ოდენობით მინიმალური ხელფასის დადგენა არა მარტო ადამიანთა ჰუმანისტურმა ნაბიჯი, არამედ კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმიც გახდება.

თავის მხრივ, ზაზა შენგელიამ შაშიაშვილს საქართველოში რეფორმებისა და სულიერებისთვის მებრძოლი უწოდა. კულტურისა და იდეოლოგიის გარეშე ჩვენი სახელმწიფო დაემსგავსება ხომალდს, რომელსაც ჰყავს კარგი მესაჭე პრეზიდენტის სახით, მაგრამ არ აქვს საჭე - ბრძანა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ. (გეა)

რეფორმის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების

იმერეთის გუბერნატორის თქმით, კარგი იქნება, თუ ქვეყნის სხვა საწარმოებიც გაიზიარებენ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამოცდილებას, სადაც ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ხელფასი თვითღირებულებიდან კი არა, მოგების მაჩვენებლებიდან გამოჰყავთ. შაშიაშვილი ირწმუნება, რომ ასე შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და მოგებით დაინტერესეს ინჟინრები.

„ბევრს არ ესმის, რომ რეფორმა მძიმე გასატარებელია. სამაგიეროდ შედეგებით დაერჩებით კმაყოფილი“ - ამბობს შაშიაშვილი, რომელიც დიდი მადლობელია საელჩოების. თურმე ყველაზე უფრო მათ ესმით, რა არის რეფორმა, რომელიც მათ არ ეხებათ. (გეა)

„ნუ მიდიხართ ციხისაკენ, იყავით გარეთ და...“

შაშიაშვილმა აღიარა, რომ ქუთაისის ცენტრალურ ბაზარში მოქმედებს „მაფია“, რომელიც ყალბი საწონების საშუალებით ძარცვავს მოსახლეობას. მისივე თქმით, შეუძლებელია ეს ბაზრის დირექციის ნებართვის გარეშე ხდებოდეს. საქმეს არც დირექტორის გამოცვლამ უშველა. „გთხოვთ, გეხვეწებით, ნუ მიდიხართ ციხისკენ, იყავით გარეთ და იაზროვნეთ სახელმწიფო ინტერესებით“ - მოუწოდა შაშიაშვილმა „მაფიოზებს“. (გეა)

„ძურდიც ადამიანია, ხან იძეიშვებს და ხან საძურდავად წავა...“

19 დეკემბერს ქუთაისის პოლიციის უფროსი, გურამ ტულუში სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს შეხვდა. ტულუში მათ კანონებთან დაკავშირებულ კაზუსებზე ესაუბრა. „შეუძლებელია სამ საათში დამნაშავეისათვის ბრალის წაყენება“, „დაუცველია მოწმე“, „ჰუმანური კანონები და უმუშევრობა დანაშაულის გაზრდას გამოიწვევს“ - ასეთი ფრაზებით მიმართა მძღოლებს ტულუშმა.

1996 წლის 1 იანვარს ქუთაისის პოლიციაში 1243 კაცი მუშაობდა. მათი რიცხვი 460-მდე შემცირდა, აქედან 100 ადგილობრივ ბიუჯეტზეა და აპრილის თვიდან ხელფასი არ მიუღიათ. მთლიანად გაუქმდა საპატრულო სამსახური, რამაც ტულუშის თქმით, გამოიწვია მდგომარეობის გართულება. მას მხედველობაში ჰქონდა სამარშრუტო ტაქსების დაყაჩაღების რამდენიმე ფაქტი. რაც შეეხება ადამიანთა გატაცებას, ტულუშის აზრით, ამ მხრივ პროგრესი იგრძნობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გატაცებულებს მალე აბრუნებენ. წისქვილკომბინატის თანამშრომელი, ნიკარაძე 4 საათით ჰყავდათ გატაცებული. უნივერსამის დირექტორი, მურმან ლასხიშვილი კი სულ რაღაც 3 საათით გიტაცეს. პოლიციის მუშაობას ისიც აფერხებს, რომ დაზარალებულები და მოწმეები მათ არ ეხმარებიან. ისინი ერიდებიან პოლიციაში „ჩაშვებას“ და არჩევენ,საქმე ქურდებში გაარჩიონ. იმერეთის გუბერნატორი ხშირად იმეორებს: „სადაც ქურდი გაიელის,იქ პოლიციის უფროსი მოსახსნელია“. ტულუში მას არ ეთანხმება. ის თვლის, რომ ქურდიც ადამიანია: ხან იქეიფებს და ხან საქურდავად წავა. პოლიციამ კი ის რესტორნისა და ქუჩაში სიარულის დროს კი არა, დანაშაულის ჩადენისას უნდა დაიჭიროს. (გეა)

საქართველო-აშშ - მოსალოდნელია სკანდალი

საქართველოს საჰაერო მართვის სისტემის რეაბილიტაციის ქართულ-ამერიკული პროექტის რეალიზაცია კითხვის ქვეშაა. 3 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრს მიხეილ ჭკუასელს, რომელსაც ევალებოდა პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება, უნდა წარედგინა პრეზიდენტისთვის წერილობითი განმარტება პროექტის გარშემო შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. თვითონ პრეზიდენტმა თავისი აღშფოთება უკვე გამოხატა.

„ხელოვნურად გვინდა ჩაეშალოთ პროექტი. თუ ვინმეს ასეთი სურვილი ჰქონდა, მაშინ მე აღარ უნდა ჩავერთე ამ საქმეში“, - არაორაზროვნად მიმართა შევარდნაძემ მთავრობის იმ წევრებს, რომელთა მიზეზითაც შეიქმნა გაურკვევლობა ამ პროექტის ირგვლივ.

შევარდნაძის აღშფოთება გასაგებია. აშშ-ში მისი ოფიციალური ვიზიტის დროს ივლისში, „საქნაფტაგაზიამ“ „ექსიმბანკის“ ოფისში კონტრაქტი გააფორმა კომპანია „ნორთროპ გრუმანსთან“ საქართველოს საჰაერო მართვის სისტემის რეაბილიტაციის პროექტის რეალიზაციაზე. პროექტის მიზანია საჰაერო სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საქართველოზე გადაფრენათა რიცხვის ზრდა და შესაბამისად საავლუტო შემოსავლების მატება.

შეთანხმების თანახმად, „ექსიმბანკი“ პროექტში ქართული მხარის გარანტად გამოვიდა. ამერიკულმა მხარემ პროექტის დაფინანსებლად „სითიბანკი“ აირჩია.

კონტრაქტის საბოლოო პირობების შესათანხმებლად, თბილისს აგვისტოში ეწვივნენ „ნორთროპ გრუმანსის“ და „სითიბანკის“ წარმომადგენლები. მოგვიანებით, სექტემბერში ამერიკელების მეორე ვიზიტის დროს, მომზადდა დოკუმენტი პროექტის რეალიზაციის შესახებ, რომელზეც საქართველოს მხრიდან ხელმოწერის შემდეგ „სითიბანკს“ უნდა დაეწყო დაფინანსება. დოკუმენტი ხელმოწერისათვის ფინანსთა სამინისტროს გადაეცა და შემდგომ ამ უწყებას ველარ გასცდა.

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა კომპანია „ნორთროპ გრუმანსისგან“ ოქტომბერში მიიღო წერილი, სადაც გამოთქმული იყო გულისტკივილი დაფინანსებაში შეფერხების გამო. წერილში ამერიკელები აფრთხილებდნენ ქართულ მხარეს, რომ შეთანხმებულ დოკუმენტზე ხელმოწერის დაგვიანების გამო კომპანია შეაჩერებს თავის საქმიანობას საქართველოში გაურკვეველი ვადით. ამ მუქარას საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოკლედ უპასუხა - მიმდინარეობს პროექტის ტექნიკური დეტალების შეთანხმება საერთაშორისო საავლუტო ფონდთან.

ამავე დროს ოქტომბერში, ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჭკუასელმა აშშ-ს ექსპორტ-იმპორტის ბანკს მთავრობის სახელით შეატყობინა „ატა საფინანსო-საკონსულტაციო ჯგუფისთვის“ საქართველოს სახელით მოქმედების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ჯგუფ „ატა-ს“ დაეალა მოეძებნა აშშ-ში ბანკი, რომელიც აღნიშნული პროექტისთვის საქართველოს გამოუყოფდა სესხს „სითიბანკზე“ უკეთესი პირობებით. „ატამ“ თავისი არჩევანი „ბენქ ოფ ნიუ-იორკზე“ შეაჩერა.

როგორც კი ცნობილი გახდა ჭკუასელის ეს გადაწყვეტილება, ნოემბერში, აშშ-ში საქართველოს ელჩმა, თედო ჯაფარიძემ წერილი მიწერა შევარდნაძეს. „ატა-ს შუამავლად ჩართვამ შეიძლება ჩაშალოს პროექტი“, - ნათქვამია საქართველოს ელჩის წერილში.

განრისხებულმა პრეზიდენტმა დაიბარა სპეციალურ ჯგუფს, შეიკრიბოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით და გაერკვეს პროექტის ირგვლივ შექმნილ ვითარებაში. ჭკუასელმა სახელმწიფო მინისტრთან 2 დეკემბერს გამართულ თათბირზე განაცხადა, რომ „ბენქ ოფ ნიუ-იორკი“ მზადაა უკეთესი პირობებით გამოყოს სესხი პროექტის რეალიზაციისათვის.

მტკუანსა და მართალს პროექტის გარშემო შექმნილ გაურკვევლობაში, რა თქმა უნდა, გაარკვევს თვითონ ედუარდ შევარდნაძე. არაა გამორიცხული, რომ ქვეყნის პირველმა ფინანსისტმა უკეთ იცის ვისგან აიღოს ფული - „სითიბანკისგან“ თუ „ბენქ ოფ ნიუ-იორკისგან“. მიუხედავად ამისა, ვიღაცას მაინც მოუწევს პასუხის გაცემა საქართველოს საერთაშორისო საქმიანი იმიჯის შელახვისათვის. მითუმეტეს, რომ პარტნიორობის გარანტად აშშ-ში თვით ედუარდ შევარდნაძე გამოვიდა. (პრაიმ-ნიუსი)

ვინც მუსიკა შეუკვეთა, იმან გადაიხადოს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ცოტა არ იყოს გააკვირვა ამასწინათ სახელმწიფო ფილარმონიიდან მოსულმა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურამ, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ „დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს“ მიერ მოწვეული დევნილთა ყრილობის ხარჯები აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს უნდა დაეფინანსებინა.

საქმე იმაშია, რომ 18 დეკემბერს სახელმწიფო ფილარმონიას ეწვია „დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს“ წევრი, ბორის კაკუბავა და ფილარმონიის დირექციას წარუდგინა ფრაქცია „სახალხოს“ წერილი (რა თქმა უნდა, ფრაქციის თავმჯდომარის, მამუკა გიორგაძის ხელმოწერით) 22 დეკემბერს დევნილთა საყოველთაო ყრილობის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარების თაობაზე. კაკუბავამ ყრილობის დამფინანსებლად აფხაზეთის მინისტრთა საბჭო დაასახელა, რის შემდეგაც ფილარმონიის ადმინისტრაციამ ანგარიში წარუდგინა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს. აფხაზეთის მინისტრთა საბჭო, რა თქმა უნდა, აღშფოთდა და ამ ფაქტის გამო განცხადებაც კი გაავრცელა, სადაც კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ის საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით გამართულ არანაირ ღონისძიებაში მონაწილეობას არ ღებულობს და თუ რატომ არ ღებულობს, ეს საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა მშვენიერად იციან. ფაქტი ერთია - კაკუბავას ნომერი არ გაუვიდა. (გეა)

საგადასახადო ბაზრობას „ენვია“

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრეტენზია, რომელიც საქართველოს სამთავრობო დელეგაციას საფრანგეთში დონორი ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრისას წამოუყენეს, იყო გადასახადების აკრეფის არამობილიზებულობა. მდგომარეობის გამოსწორებისათვის, მეტწილად კი 1997 წლის შემოსავლების გეგმური მაჩვენებლების მაღალი პროცენტით შესრულებისათვის დაიწყო ობიექტების შემოწმება. მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში ფინანსთა სამინისტრომ, საგადასახადო ინსპექციამ და შსს-მ ერთობლივი შემოწმება ჩაატარა თბილისის კაზინოებსა და რესტორნებში, სადაც მთელი რიგი დარღვევები გამოვლინდა.

შემოწმებისას გადასახადების დამალვის ფაქტები შპს „თერგში“-ც (სადგურის ბაზრობა) გამოვლინდა. როგორც გეა-ს კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, ფინანსთა სამინისტროს, საგადასახადო ინსპექციისა და შსს-ს 400 კაციანი ჯგუფი 20 დეკემბერს დილის 6 სთ-ზე ბაზრობას „შეესია“. ჩატარდა კომპლექსური შემოწმება. როგორც გეა-ს კორესპონდენტს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, შემოწმებები გაგრძელდება მანამ, სანამ გადასახადების აკრეფის საქმეში არ დამყარდება წესრიგი. (გეა)

ბათუმი

არქივებზე ზრუნვით ისტორიას ვინარჩუნებთ

საქართველოს საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ მახარაძემ დაათვალიერა აჭარის ცენტრალური არქივი, რომელიც ერთადერთია საარქივო სპეციფიკისა და თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოში. ზმახარაძემ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ა.აბაშიძესთან ერთად მოინახულა ყველა საცავი, გაეცნო დოკუმენტების დამუშავების კლასიფიკაციასა და შენახვის წესებს. აქვე აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რაიონებში საარქივო საქმის მოწესრიგებას. „არქივებზე ზრუნვით ჩვენი მომავალი თაობებისათვის ისტორიის შესანარჩუნებლად ვზრუნავთ“ - განაცხადა ა.აბაშიძემ. (იფრინდა)

ბათუმში რუსეთის სასაზღვრო რაზმის იუბილეს ზეიმობენ

19 დეკემბერს იჭაჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის ბათუმის სასაზღვრო რაზმის ხელმძღვანელობის ინიციატივით, მოეწყო ამავე სასაზღვრო დანაყოფის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საგულისხმოა, რომ ბათუმის სასაზღვრო რაზმი საქართველოს საზღვრებზე განლაგებულ რუსულ სასაზღვრო დანაყოფებს შორის არსებობის ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს ითვლის. (იფრინდა)

საბრძოლო სწავლება გონიოს პოლიგონზე

18 დეკემბერს ხელვაჩაურის რ-ნის გონიოს სამხედრო-საწვრთნელ პოლიგონზე გაიმართა რუსეთის ფედერაციის მეთორმეტე სამხედრო ბაზის ერთ-ერთი დანაყოფის გეგმიური საბრძოლო სწავლება. აღსანიშნავია, რომ სამხედრო წვრთნაში მონაწილე 100 სამხედროდან 40 აჭარის მკვიდრია, რაც ა.აბაშიძის აზრით, სწავლებაში მონაწილე ქართველ სამხედროებს საშუალებას აძლევს აიმაღლონ სამხედრო პროფესიონალიზმი. (იფრინდა)

გალის რაიონში არჩევნები არ ჩატარდება

1998 წლის მარტისთვის აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ დანიშნა ადგილობრივი არჩევნები.

მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ისაა, რომ არძინბას ბრძანებით არჩევნები დაინიშნა აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე, გალის რაიონის გარდა, რაც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა ფაქტიურად ველარ აკონტროლებს ამ რაიონს. (გეა)

არძინბა ახალი იდეოლოგიის შექმნას აპირებს

აფხაზი სეპარატისტების ლიდერს, ვლადისლავ არძინბას დაგეგმილი აქვს შექმნას აფხაზების ეროვნული იდეოლოგია. ამასთან დაკავშირებით იგი აპირებს ახალგაზრდა სპეციალისტების მიზიდვას, რომლებიც ამ საკითხზე იმუშავებენ. (გეა)

სმაკ-ის აქცია ამჯერად აფხაზეთისკენ გადაინაცვლებს

მოძრაობა „თერგიდან ფსოუმდე“, რომელსაც საფუძველი ლარსის აქციით ჩაეყარა, გრძელდება. 7-8 იანვარს ზუგდიდიდან ენგურამდე ახალგაზრდობის მანიფესტაცია მოეწყობა.

როგორც სმაკ-ის მთავარმა მდივანმა, ლერი გელენავამ განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას, მოძრაობის ძირითადი საკითხი მთავარი საზღვარი, ანუ აფხაზეთია; ენგურზე გამართული აქციით კი ქართველი ახალგაზრდობა კიდევ ერთხელ დააფიქსირებს საკუთარ პოზიციას და შეახსენებს რუსეთის სამშვიდობო ძალებს, რომ ვერ შეეგუება აფხაზეთის დაკარგვას.

„ეს იქნება გამაფრთხილებელი აქცია, შემდგომ კი მასიურ გამოსვლებს ვაპირებთ, რადგან ჩვენს წინაშე მომავალი თაობის პრობლემა დგას: დაუბრუნდეს საქართველოს კუთვნილი აფხაზეთი“ - განაცხადა ლერი გელენავამ.

გეა-ს კორესპონდენტის კითხვაზე, ამის თაობაზე თუ დაუკავშირდნენ ქართველი ახალგაზრდები აფხაზ ახალგაზრდობას და შესთავაზეს ერთობლივი აქციის ჩატარება, გელენავამ განაცხადა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობს აფხაზ ახალგაზრდობასთან მოლაპარაკებები და თუმცა მათი მხრიდან წინააღმდეგობა არ ყოფილა, საეჭვოა, ისინი შემოუერთდნენ ქართველთა სამშვიდობო მანიფესტაციას. ისე კი, დაგეგმილი აქციის შესახებ შეტყობინებას ნამდვილად გაუგზავნიან აფხაზეთის ახალგაზრდობას. (გეა)

საით მიდის საქართველო

„დასავლური“ საქართველო: მითები და რეალობა

ალექსანდრე ჭაჭია

ქართული საზოგადოებრიობის სხვადასხვა წარმომადგენლებთან თბილისში ჩატარებულმა შეხვედრებმა და საუბრებმა დამარწმუნეს, რომ აუცილებელია გაზეთ „საქართველოს“ მიერ დაწყებული ე.წ. „პროდასავლური ორიენტაციის“ თემის განხილვის გაგრძელება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება დასავლეთის გავლენას ქართველი ხალხის ეროვნულ კულტურაზე, ტრადიციულ სულიერებასა და ცხოვრების წესზე.

ზოგიერთი ოპონენტი თვლის, რომ მე ძალზე ვაზვიადებ ქართველ ხალხზე დასავლური მასობრივი კულტურის დამღუპველ ზეგავლენას. თავს კი იმით იმშვიდებენ, რომ საზოგადოებას მობეზრდება რა ეს პრიმიტივი, კვლავ მაღალ, ეროვნულ კულტურას დაუბრუნდება. ერთმა მეცნიერმა ისიც კი განაცხადა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში „ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მიმართავენ ხალხს და ის უარყოფს უცხო კულტურას“. არ უარყოფს! მასობრივი კულტურის გავრცელების შეჩერება არ ძალუძთ არც „საუკეთესო წარმომადგენლებს“, არც პარტიებს თუ მოძრაობებს, არც სოციალურ ჯგუფებსა და ფენებსაც კი. ეს ძალუძს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მქონე სახელმწიფოს.

საქმე იმაშია, რომ დასავლური მასობრივი კულტურის გავრცელება მხოლოდ პრიმიტიული ამერიკული ფილმების ჩვენება, დაბალხარისხოვანი ლიტერატურის გამოშვება, პორნოგრაფიისა და პროსტიტუციის პროპაგანდა როდია. ეს გახლავთ საზოგადოებრივი ცნობიერების იდეოლოგიური საფუძვლებისა და ჩვენი ხალხის ტრადიციული ფასეულობების მოსპობა, მოსპობა ყოველივე იმისა, რასაც ემყარება ჩვენი ერის მორალი, ზნეობა და სულიერება. ჩვენი დროის სპეციფიკა კი იმაში მდგომარეობს, რომ საუკუნეთა მანძილზე შექმნილის ნგრევისა და განადგურებისათვის მხოლოდ რამდენიმე წელია საჭირო. ეს არა მარტო ეკონომიკას და სახალხო მეურნეობას შეეხება (რაც საუკუნის მანძილზე შეიქმნა, ჩვენმა „რეფორმატორებმა“ ერთი წლის განმავლობაში დაანგრიეს და გაძარცვეს), არამედ ტრადიციულ მორალსა და სულიერ კულტურასაც.

ამერიკული მასობრივი კულტურა უმოკლეს ვადაში იპყრობს იმ ქვეყნების მოსახლეობას, რომელთა უპრინციპო, უთავო თუ მოღალატე ხელმძღვანელობა თავისი „დემოკრატიულობის“ მთავარ ნიშნად კოსმოპოლიტიზმს, ტელეეკრანებზე ძალადობის, პორნოგრაფიის ჩვენებას და სხვა „ჭეშმარიტი ამერიკული ფასეულობების“ პროპაგანდას სთვლის. ბევრ ქართველ პოლიტიკოსს და ინტელიგენტს მიაჩნია, რომ ამერიკული კულტურის ასეთი ინტენსიური გავრცელება მის სიდიადეზე მეტყველებს: მან ხომ მთელი მსოფლიო დაიპყრო, ე.ი. ხალხს სწორედ ის სჭირდება, ის არის უმაღლესი კულტურა და რაც უფრო სწრაფად ავითვისებთ მას, მით უფრო „ცივილიზებულნი“ ვიქნებითო.

სინამდვილეში რაში მდგომარეობს ამერიკული მასობრივი კულტურის სიძლიერე? იმაში, რომ იგი ადამიანის პრიმიტიული მოთხოვნილებების, ცხოველური ინსტინქტების დაკმაყოფილებას ემსახურება. ცალკეული ადამიანისთვის, რომელსაც სულიერებაზე პრეტენზია მაინცდამაინც არ გააჩნია, ძალზე მიმზიდველია ამერიკული ფასეულობები, რომლებიც მომხმარებლობასა და ეგოიზმს ეფუძნება. თანამედროვე ეტაპზე ამ ფასეულობების „ზოგადსაკაცობრიობო ფასეულობებად“ ტრანსფორმირება მოხდა, რაც შემდეგ თეზისებში გამოიხატება: „სადაც თავს კარგად ვგრძნობ, იქ ჩემი სამშობლოა“, „მთავარი ფასეულობა მე და ჩემი საკუთრებაა“, „პირადი თავისუფლება ყველაფერზე მაღლა დგას“ და ა.შ. ნებისმიერი ტრადიციული საზოგადოებისათვის ამ „ფასეულობათა“ დასავლურ მასობრივ კულტურასთან ერთად გავრცელება ერის გადაგვარებას, დეგრადირებას, მის იმ ცხოველურ ბრბოდ გადაქცევას ნიშნავს, რომელსაც მხოლოდ ერთი სურვილი გააჩნია – რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე დააგროვოს და მოიხმაროს.

ჩვენმა წინაპრებმა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება შეიგნეს: ცხოველური ინსტინქტების აყოლა დამღუპველია როგორც ცალკეული ადამიანისათვის, ასევე მთელი ერისათვის. განწირულია საზოგადოება, რომელსაც მოქალაქეებში ამ ინსტინქტების დათრგუნვის საშუალებები არა აქვს შემუშავებული. ჩვენგან დავიწყებული ეს მარტივი ჭეშმარიტება ჩვენმა წინაპრებმა მაშინ შეიგნეს, როდესაც ცხოველთა სამყაროს ადევნებდნენ თვალყურს. ცხოველი ხომ მხოლოდ ინსტინქტებით ხელმძღვანელობს, რის გამოც იგი უფრო ჭკვიანი, მისი ინსტინქტების მცოდნე არსების – ადამიანის მსხვერპლი ხდება. ცხოველებს იჭერენ, ვინაიდან ისინი ემორჩილებიან ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ინსტინქტს. ნებისმიერი ხაფანგიც სწორედ ამ ანგარიშითაა დაგებული. ხშირად ცხოველს ეშინია კიდეც, მაგრამ ხაფანგში მაინც ძვრება. ერთ-ერთი ყველაზე ფრთხილი ფრინველი ბატია. მონადირეები ველზე ბატის ფიტულებსა თუ მულაჟებს დებენ. ზემოდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა ველზე მშვიდად სხედან ბატები. მოფრინავი გუნდი სწორედ ამ „უსაფრთხო ველს“ ირჩევს დასასვენებლად და პირდაპირ თოფის ლულებს აჯდება. გავიხსენოთ, როგორ დაიჭირეს „სატყუარათი“ ჩვენი საზოგადოება. აჩვენეს ლამაზად შეფუთული ძეხვი და „ჟუაჩკა“ და ისიც გაექანა ხაფანგისაკენ. წინ მირბოდა „ელიტარული ინტელიგენცია“, რომელიც, როგორც გაირკვა, კუჭით ფიქრობს. დღეს ხალხმა უკვე შეიგნო, რომ მოატყუეს და გაძარცვეს, რომ შეპირებული სიმდიდრე, „ცხოვრება, როგორც ამერიკაშია“ არსებობს არა მათთვის, არა „ბრბოსათვის“, არამედ მხოლოდ „რჩეულებისათვის“ ანუ რჩეულიშვილებისათვის. მონადირეებს კი უკვე ახალი „სატყუარა“ გამოუჩნდათ – ნავთობსადენი, ტრანზიტი, „ევროპაში შესვლა“, „შევარდნაძის ფენომენი“ და ათასი სხვა სისულელე. არადა ხომ არის ხალხი, საკმაოდ განათლებულიც კი, რომელსაც აჯისი სჯერა!

ცხოველური ინსტინქტების საპირისპიროდ ჩვენმა წინაპრებ-

გაგრძელება მე-4 გვ.

დაჟინებით შეგვაგონებენ, თითქოს მსოფლიოს ყველა გენიალური ხელოვანი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე სექსუალური პათოლოგიით იყო დაღდასმული...

აკაკი ვასაძე

პათოლოგია ანუ ნორმალური (ჯანსაღი) ადამიანური მდგომარეობიდან გადახრა მუდამ ახასიათებდა ადამიანებს; მეცნიერულად დადგენილია, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი მიდრეკილია პათოლოგიისკენ. და თუკი დღემდე არსებობენ კულტუროსანი ერები და სახელმწიფოები, თუკი ჯერ კიდევ შემორჩა ქვეყნად მრუდისა და მართალის გარჩევა – ეს იმიტომ, რომ პათოლოგიისკენ მიდრეკილთა მასები (შიშით იყო, იძულებით თუ მიბაძვით) ექვემდებარებოდნენ რელიგიით დაწესებულ და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივად აღიარებულ ქცევის ნორმებს.

ყოველდღიურ ურთიერთობებში და შრომით – სამოღვაწო პირობებში ადამიანთა უმეტესობას სახეშეცვლილი ფორმებით, შეფარვით გააქვს მისთვის ნიშანდობლივი ავადმყოფური გადახრები (დესტრუქციული ლტოლვები, ამბიციები, გამრუდებული ბიო-ფიზიოლოგიური მდგომარეობები...); ადამიანთა უმეტესობა ახერხებს დაფაროს ანუ მოაწესრიგოს სხვადასხვა სახის „გადახრები“, ერთი მხრივ, გარედან (სახელმწიფოებრივად) დადგენილი „აკრძალვების“, მეორე მხრივ კი – საკუთარ არსებაში გამომუშავებული „კონტროლის“ შესაბამისად. აქ საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ ინდივიდის შიდა „კონტროლს“ ამტკიცებს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივად დაცული ნორმები ქცევისა.

ადამიანის შიდა და გარეთა ამკრძალველ-მაკონტროლებელი ინსტანციები მსახურობენ ერის გადარჩენას ადამიანთა უმრავლესობისთვის ნიშანდობლივი „გადახრებისგან“, რათა ქვეყანა არ ემსხვერპლოს პათოლოგიურ გამოვლინებებს.

და ის, რაც აყალიბებდა და რაც დღემდე იცავს ადამიანის – შიდა და ადამიანის – გარეთა „ამკრძალველ ინსტანციებს“ – არის კულტურა. კულტურის ცნება მოიცავს ცხოვრების ყველა შრეს, ყველა სტრუქტურას; თვით კულტურა კი დაშენებულია მორალზე; და რადგან მორალი ნასაზრდოებია რელიგიით და, საკუთრივ ქრისტიანულ სამყაროში ქრისტიანული ქცევის წესები ყალიბდებოდა ქრისტეს მოძღვრების ანუ ღვთის შეგონების თანახმად – უნდა დავასკვნათ:

სხვადასხვა სახის პათოლოგიებისგან ადამიანის და, საერთოდ, კაცობრიობის გადამრჩენი – მაშასადამე ინდივიდისა და საზოგადოების მაცოცხლებელი ძალა – რელიგიურობით განმსჭვალული, რელიგიურობაზე მარად დაფუძნებული კულტურაა.

XIX საუკუნიდან მომდინარე პოზიტივიზმმა და განსაკუთრებით მარქსისტულმა მოძღვრებებმა გაამრუდა საკაცობრიო მსოფლმხედველობა და, დღეისთვის, ადამიანთა ცნობიერებაში კულტურა დაფიქსირდა ზედნაშენურ კატეგორიად, ხოლო სული და სულიერება – ფიზიოლოგიური პროცესების წარმონაქმად, არათავისთავად მოცემულობად. სინამდვილეში კი კულტურა ცხოვრების ბაზისის შემადგენელი უმთავრესი მხარეა: კულტურის გარეშე თვით უმაღლესი ხარისხის მატერიალურ-ეკონომიკური ელემენტები წარმოადგენენ ისეთ ხროვას, რომელშიც მოყოლილი კაცობრიობა, ბოლოს და ბოლოს, დაიღუპება. კულტურა (სულიერება) ის ძალაა, რომელიც მატერიალურ-ეკონომიკურ ელემენტებს აწესრიგებს და მათგან ჰქმნის ცხოვრების მტკიცე ფუნდამენტს. თვით კულტურა კი, პირველ ყოვლისა, სჯულია – ზნეობრივ ნორმებზე დამყარებული ცხოვრების წესია (და არა თეატრი ან კინო, როგორაც ეს დღეს ჩვენში ჰგონიათ).

ქვეყნად კულტურის მდგომარეობას სახელმწიფო მმართველობა და სახელმწიფო წესრიგი განსაზღვრავს. სახელმწიფო და ხელისუფლება შექმნილ-მოწოდებულია იმისთვის, რომ ადამიანი და ერი გადაარჩინოს, საუკეთესო გზით აცხოვროს.

რომელია ეს გზა გადარჩენისა და ცხოვრებისა?

პირველ ყოვლისა, ეს არის კულტურაზე დამყარებულ ქცევის ნორმათა უშეღავათო დაცვის და განვითარების გზა და სახელმწიფო ცხოვრების შემქმნელ-მარეგულირებელი ყველა სტრუქტურა უნდა მუშაობდეს ერის ისტორიით აღიარებული ზნეობის პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო უნდა იყოს ეროვნული რელიგიით განმტკიცებული და საუკეთესო ცხოვრებასთან შეთანხმებულად უნდა იმართებოდეს.

სახელმწიფოთა და ერთა რღვევა-რწმენისა და ზნეობის დამცველი ინსტანციების მოშლას უკავშირდებოდა მუდამ.

როდესაც ხალხი ჰკარგავს სახეს და წესს ცხოვრებისას – ეს გამოწვეულია სახელმწიფო მმართველობის უსჯულოებით, ზნეობის პრინციპთა დამცველი სახელმწიფო-მმართველობითი ინსტანციების მოშლით.

თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ქრისტიანული კულტურის ქვეყნებში, მიმდინარეობს გამალებული რღვევა ეროვნული კულტურებისა და, პარალელურად – მსხვრევა ზნეობის ბურჯებისა. სულ უფრო ხშირად გაისმის გამაფრთხილებელი შეგონება, რომ ადგილი აქვს შეგნებულ ბრძოლას ქრისტიანული სამყაროს გასაცამტვერებლად.

საქართველოში ქართველთ სჯულის, კულტურის მოშლა და სანაცვლოდ უსჯულოების, უკულტურობის დანერგვა, საკუთრივ ხრუშჩოვის დიქტატურის დროიდან შეგნებულად და გეგმაზომიერად რომ წარმოებდა – ამის მომსწრე თვითონ ვარ და ამის დამამოწმებელი ისტორიული ფაქტებიც სახეზეა.

საბჭოეთის ტრაგიკული მსხვრევაც უზნეობამ და უგუნურებამ განაპირობა. და ამჟამადაც იმავ ძველ საბჭოურ უზნეობას და უგუნურებას ეწირებით საბჭოეთიდან მონარღვევი „რეგიონები“ (რუსეთის ჩათვლით).

ბოლო წლების მანძილზე ქართველობის ყოფის და შრომით-სამოღვაწო ცხოვრების კულტურა კატასტროფულად რომ დაეცა – ყველასთვის ნათელია. უკულტურობა-უზნეობის მარწუხებში მოქცეულნი სრული გადაგვარება-გადაშენების წინაშე რომ დავდექით – ესეც ნათელია და ნათელია

გაგრძელება მე-11 გვ.

მესამე გვერდიდან

მა ადამიანური მორალი შემოიღეს. ადამიანი მზად უნდა იყოს სამშობლოსა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის მსხვერპლად გაიღოს ცხოველური ინსტინქტთა დაკმაყოფილების სიხარული და სიამოვნება.

ასეთი ადამიანი კი აღზრდის შედეგად ყალიბდება. თავდაპირველად მას მშობლები ზრდიან, შემდეგ კი საზოგადოების მთელი ატმოსფერო. თანაც ქცევის წესების მხოლოდ შესწავლა კი არ არის საკმარისი, ეს წესები უნდა აღიქვა და შეისისხლხორცო. მას შემდეგ, რაც ჩვენმა შორეულმა წინაპარმა ტყეში მოკლული ნადირი ადგილზევე კი არ შეჭამა, არამედ თავის ტომს მიუტანა გამოქვაბულში, სულ ბოლო პერიოდამდე ქართული საზოგადოება ყოველთვის ადამიანური მორალის ნორმებით ხელმძღვანელობდა და თანამემამულეთა ქცევაში ცხოველური ინსტინქტების ყოველგვარ გამოვლინებას მკაცრად აღკვეთდა, ეს ყველაფერი უფროსებისაგან, წინაპრებისაგან მოდიოდა, რაც ნებისმიერი ხალხისათვის გასაგები იყო. ამიტომ არის, რომ ბიბლიაშიც და ყურანშიც უფროსების მიმართ დამოკიდებულებას დიდი ყურადღება ენიჭება. წმინდა წიგნები მორალური ნორმების დაცვისას ადამიანისაგან უფროსებისადმი აბსოლუტურ მორჩილებას მოითხოვენ. იგულისხმება, რომ უფროსი თაობის ადამიანებს მორალი ინსტინქტის დონეზე აქვთ გამჯდარი და მათი ადამიანურად მოქცევა ავტომატურად ხდება, ვინაიდან სხვანაირად არ ძალუძთ. ამიტომ უფროსები ახალგაზრდებისათვის მაგალითს წარმოადგენენ ძახან, სანამ ახალგაზრდები არ მიაღწევენ სრულყოფას და თავად არ გახდებიან მაგალითის მიმცემნი მომავალი თაობისათვის. გაიხსენეთ: ხშირად, ბავშვობაში, ჩვენი მშობლების საქციელი, ესა თუ ის მოქმედება არასწორად მიგვაჩნდა, მაგრამ გავიზარდეთ და თავადაც იგივეს ვაკეთებთ და შვილებსაც იგივეს ვასწავლით. მეტიც, ნებისმიერი ადამიანი თავის მამა-პაპაზე, როგორც ჭკვიან, პატიოსან და დამსახურებულ პიროვნებაზე ლაპარაკობს. ნუთუ წარსულ თაობებში არ ყოფილან ცუდი, უღირსი ადამიანები? ყოფილან, მაგრამ ადამიანებს ერთი შესანიშნავი ჩვევა აქვთ – წარსული თაობების იდეალიზება. მხოლოდ წინაპართა გარკვეული იდეალიზების მეშვეობით ნარჩუნდება ზნეობა, ტრადიცია და სულიერება, ანუ ის საფუძველი, რომელსაც ერი ემყარება. სწორედ ამიტომ იყო, „პერესტროიკა“ და „დემოკრატიზაცია“ უფროს თაობებზე, მათ საქმიანობაზე იდეოლოგიური დარტყმით დაიწყო. ხალხი გაჰყვეს „ჩამორჩენილ“, „დამნაშავეობრივ“ „მამებად“, რომლებმაც „ცხოვრება არ იციან“, და „თავისუფალ“, „საქმოსან“, ამერიკანიზირებულ „შვილებად“. კარგ ტონად ითვლება წინა თაობებისათვის ჩირქის მოცხება, გაიშალა მათ სულიერ ფასეულობათა დისკრედიტაციისაკენ მიმართული მრავალწლიანი, ძლიერი კამპანია, რომლის სათავეშიც ყოფილი პარტნომენკლატურის უპრინციპო ნაწილი და „ელიტარული“ ინტელიგენცია დგას. ისინი ცდილობენ ქცევის მაგალითი წაგვართვან. ამ საშინელი პროცესის მხატვრული აღწერა

● საით მიდის საქართველო

„დასავლური“ საქართველო: მითები და რეალობა

ალექსანდრე ჭაჭია

გახლავთ თენგიზ აბულაძის მხატვრული თვალსაზრისით შესანიშნავად გადაღებული „მონანიება“ – ფილმი, რომელიც თავისი იდეოლოგიური შინაარსით მოსკოვის მოსყიდული, კოსმოპოლიტური ინტელიგენციისა და თბილისის უვიცი, გამყიდველი „ელიტის“ ტყავის ინტერესებს შეესაბამებოდა, ფილმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართულ, ეროვნულ მსოფლგაგებასთან, ჩვენს ზნეობასა და ეროვნულ ღირსებასთან. გასაკვირი არ არის, რომ ამ ფილმმა მაღალი ჯილდოები მიიღო დასავლეთში (სადაც დიდად აფასებენ სურათებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ სტალინის პერიოდს და საბჭოთა წარსულს) და სრულიად გულგრილი დატოვა მასობრივი ქართველი მაყურებელი. შვილის მიერ მამის გვამის გადაგდების სცენამ, როგორც წარსულის წყევლის, წინა თაობების უარყოფის სიმბოლომ, შეიძლება აღაფრთოვანოს მხოლოდ გარყვნილი „პოსტსაბჭოური“ ინტელიგენცია და მოსყიდული პარტნომენკლატურა, რომელიც ახალ ხელისუფლებაში ადგილის გულისთვის საკუთარ დედას გაყიდის. ეს პათოლოგიური სცენა, რომელიც ფილმის ლაიტმოტივი გახლავთ, ნორმალურ ადამიანებში მხოლოდ ზიზღსა და პროტესტს იწვევს.

თენგიზ აბულაძის ფილმით „რეფორმატორები“ სახალი საგინებელი სიტყვა ქართულ ლექსიკონში) მოგვიწოდებენ მოვინანიოთ მამა-პაპათა ცხოვრება და საქმიანობა. მონანიებას ჩვენგან ითხოვენ ადამიანები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე გვატყუებდნენ, მაღალი ტრიბუნიდან ცრუობდნენ და განსხვავებული მოსაზრებებისათვის სასტიკად გვსჯიდნენ. ჩვენ კი, თურმე, ჩვენი მამების ცხოვრება უნდა მოვინანიოთ, მამებისა, რომლებიც პატიოსნად შრომობდნენ, თავგანწირვით ომობდნენ, ჭეშმარიტ ადამიანებად გვზრდიდნენ და ის დოვლათი და სიმდიდრე შექმნეს, რითაც ხალხი დღემდე ცხოვრობს.

თუ შეიძლება 30-50-იანი წლების მონანიება, მაშინ რატომ არ უნდა მოვინანიოთ XVI ან თუნდაც, XII საუკუნე? ნუთუ ცოტა უდანაშაულო სისხლი იქნა დაღვრილი, ნუთუ იშვიათი იყო ძმათაშორის შუღლი და სისხლისღვრა? ანდა ვინ მოინანიებს თანამედროვე პერიოდს? ახლანდელმა ხელისუფლებამ დაანგრია ქვეყანა, დაღუპა ათიათასობით ადამიანი, მილიონი თანამემამულე ემიგრირებულია, ქართველები ღარიბი, მშიერი, უსახლკარო ადამიანები გახდნენ და ყოველივე ეს ჩვენმა შვილებმა უნდა მოინანიონ? დარწმუნებული ვარ, შევარდნაძის შვილი მამამისის საქმიანობას არ მოინანიებს, მაშ რატომ უნდა მოინანიოს მისი საქმიანობა ჩემმა შვილმა? და საერთოდ, რად გადაიქცევა ერი, თუკი ყოველ მომდევნო თაობას წინა თაობის საქმეთა მონანიებას აიძულებენ? ამის მოწოდება მხოლოდ ერის მტერს შეუძლია.

ასეთი „მონანიებისაკენ“ მოწოდება საფრთხის წინაშე აყენებს ერის შენარჩუნებისა და განვითარების ძირითად ფაქტორს – ისტორიულ მემკვიდრეობითობას. როგორც ცნობილია, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა იდეოლოგიური კონსტრუქციების საფუძველს ჩვენი ისტორიის 70 წლიანი საბჭოთა პერიოდისადმი კატეგორიულად უარყოფითი, ნიჰილისტური დამოკიდებულება წარმოადგენს. ანალოგიურად იქცევიან ის პარტიული და კომკავშირული მუშაკები, რომლებიც უკვე ახალ, „დემოკრატიულ“ როლში აგრძელებენ თავიანთ დესტრუქციულ საქმიანობას. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საკუთარი ხალხის ისტორიის ლანძღვა და უარყოფა, ამ ხალხის, საკუთარი მამების ღალატს ნიშნავს, შვილებს კი იმ ფესვების გარეშე ტოვებს, რომელიც თაობიდან თაობას კვებავს და ერს სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს. ისტორიის კრიტიკული შეფასება შეიძლება, მაგრამ ამისათვის მორალური უფლებაა საჭირო. ახლანდელ ხელისუფლებას რაღაც მაინც რომ გაეკეთებინა იმაზე უკეთ, ვიდრე ეს საბჭოთა ხელისუფლების ან თუნდაც პრეზიდენტ ზგამსახურდიას მმართველობის დროს კეთდებოდა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ამ ხელისუფლებისათვის კრიტიკის უფლების მინიჭება.

ალბათ, ყველა პატრიოტი დამეთანხმება, რომ თუ სახელმწიფოებრიობა არ აღდგება, ქვეყნის მოსახლეობა განწირულია. სახელმწიფოებრიობის სუბიექტია ერი და მხოლოდ ერი, ერი კი კულტურულ-ისტორიული ერთიანობა გახლავთ. ყველა, ვინც ისტორიულ ერთიანობას არღვევს, ერის დესტრუქტორია.

საბჭოთა პერიოდის ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილად (და არა ისტორიული პროცესის შიგნით არსებულ შავ ხვრელად) აღიარების აუცილებლობა გამომდინარეობს სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანიდან, ყველა თაობის, მსოფლმხედველობის, ყველა იდეური კონცეფციის წარმომადგენელთა ერთიანი, ეროვნული მიზნით გაერთიანების ამოცანიდან. სწორედ ისტორიის ერთიანობაში მდგომარეობს ეროვნული სხეულის ერთიანობა. დროთა ჯაჭვის გამწყვეტი ანადგურებს ერს და საზოგადოებას ართმევს სახელმწიფოს მშენებლობის შესაძლებლობას.

საქართველოს ჭეშმარიტმა პატრიოტებმა ქედი უნდა მოიხარონ მამა-პაპის ხსოვნის წინაშე, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების დროს, პირველად დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროიდან, შეძლეს საქართველოს ერთიან სახელმწიფო ფორმირებად გაერთიანება, დედაენისა და ეროვნული კულტურის შენარჩუნება, მეცნიერებისა და განათლების განვითარება, იმ ეკონომიკის შექმნა, რომელსაც ჩვენ წლების განმავლობაში შესაშური მონდომებით ვანგრევთ და ვანადგურებთ. მათ გამოასწორეს დემოგრაფიული მდგომარეობა ქალაქებში, არ დაუშვეს ქართველი ხალხის მომსახურე პერსონალად გადაქცევა, რასაც ყველანაირად ცდილობს საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება. გარდა ამისა, საქართველომ შეძლო ეროვნული სხეულის შიგნით ისეთი ნეიტრალიზატორების, ისეთი იმუნური იდეოლოგიური მექანიზმების შემუშავება, რომლებმაც შეასუსტეს კომუნისტურ დოქტრინაში არსებული ანტიეროვნული კომპონენტის მოქმედება და გააძლიერეს ის პოზიტიური მომენტები, რომლებიც ამ დოქტრინაში უდაოდაა.

ისტორიული მემკვიდრეობითობის თვალსაზრისით ჩემში, როგორც, დარწმუნებული ვარ, ქართველთა უმრავლესობაშიც, კატეგორიულ პროტესტს იწვევს ცალკეულ ისტორიკოსთა მწერალთა თუ პოლიტიკოსთა მცდელობები შეცვალონ ამა თუ იმ ისტორიულ მოღვაწეზე ჩამოყალიბებული და დროთა განმავლობაში დამკვიდრებული საზოგადოებრივი აზრი. ასეთ მცდელობათა რიცხვს მიეკუთვნება გაზეთ „საქართველოში“ ახლახან გამოქვეყნებული როსტომ ჩხეიძის წერილი, რომელშიც ავტორი მოგვიწოდებს შევცვალოთ „მცდარი“ დამოკიდებულება გიორგი სააკაძის მიმართ, ავიღოთ მისი ძეგლი და ა.შ. რატომ, რისთვის, ვის სჭირდება ამ ისტორიულ ფიგურაზე საზოგადოებრივი აზრის შეცვლა, რომლის მაგალითზე ქართველთა არაერთი თაობა გაიზარდა? და ვინ იქნება შემდეგი? არ არსებობს ისეთი ისტორიული მოღვაწე, რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში ადგილი არ ჰქონდა ისეთ რამეს, რის გამოც რომელიმე „მკვირცხლმა“ ისტორიკოსმა იგი არ გამოაცხადოს ან „მოღალატედ“, ან „სისხლიან დიქტატორად“, ან „ამორალურ ტიპად“. თავის დროზე მე, როგორც მოქალაქე, ილია ჭავჭავაძის წმიდათა თანაშერაცხვის წინააღმდეგი ვიყავი, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და რომელიმე „სიმართლისმაძიებელი“ დაიწყებს მის პირად ცხოვრებაში ქექვას და სამსჯავროზე გამოიტანს ისეთ ფაქტებსა თუ ჭორებს, რომლებიც წმინდანს არ შეეფერება სამის გაკეთება, ალბათ, ძნელი არ არის, ვინაიდან ილია ადამიანი იყო და სიცოცხლეში მას წმინდანობაზე არ უფიქრია). ამით შეეცდებიან ქართველებს ეს უდიდესი სამაგალითო ფიგურაც წაართვან. ასეთ ისტორიკოსთა საქმიანობა კატეგორიულად მიუღებელია, მითუმეტეს, როცა საქმე ეხება ჩვენს მცირერიცხოვან ერს, რომელიც თანაც ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი დეგრადირების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მოდით მაშინ დავიწყოთ „შესაფერისი“ ფაქტების ძებნა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალეს ბიოგრაფიებში, ან ჩვენს თანამედროვეთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაში მოვძებნოთ რაიმე „სენსაციური“, მაგალითად, მწერლების კგამსახურდიას თუ გრობაქიძის, მსახიობების ა.ხორავასა თუ ა.ვასაძის, მხატვრების ლ.გუდიაშვილისა თუ ე.ახვლედიანის, მომღერლების დ.გამრეკელისა თუ ვ.სარაჯიშვილის და სხვების ცხოვრებაში. ნუთუ ვერ მოვძებნით? ძალიან კარგადაც მოვძებნით, მაგრამ რისთვის? ვის სახელებზე და მაგალითზე აღვზარდოთ შვილები და შვილიშვილები, რა დავუტოვოთ მათ სულიერ მემკვიდრეობად? ნუთუ ქართულ ისტორიას, რომელიც მოღალატეებით, დამსმენებით, გარყვნილებით და ნაძირალებითაა სავსე? რას მიაღწიეს მათ, ვინც შესაშური მონდომებით ბილწავდა ერეკლე მეორეს თუ ი.სტალინის სახელებს? რა უნდა იფიქროს ბავშვმა, რომელსაც დღეს სკოლაში გიორგი ჭყონდიდელისა თუ გრ.ხანძთელის სიდიადეში არწმუნებენ? ალბათ, სრული უფლება აქვს იფიქროს, რომ ხვალ შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ჩხეიძე, რომელიც „გამოიკვლევს“ და „დაამტკიცებს“ ამ მოღვაწეთა მოღალატეობასა თუ თაღლითობას.

ქართველი პატრიოტები, რომელთათვის მნიშვნელოვანია არა საკუთარი ცოდნისა და ლოგიკური დასკვნების დემონსტრირება, არამედ ეროვნული შეგნებისა და თვით ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთიანობის, შენარჩუნება, ვალდებული არიან აქსიომასავით აღიარონ შემდეგი პრინციპი: ყველა ისტორიული მოღვაწე, რომელმაც ამა თუ იმ მიზეზთა გამო ხალხის მადლიერი ხსოვნა დაიმსახურა, ხელუხლებელია. ასეთ ისტორიულ მოღვაწეთა რიგი მხოლოდ და მხოლოდ უნდა გაიზარდოს და არა შემცირდეს. ამა თუ იმ „ორიგინალური“ მკვლევარის ნებისმიერი ცდა, არქივებში რაიმე ამოქექოს და საზოგადოებას ანალოგიური „ვერსიები“ გააცნოს, მთელი საზოგადოების მიერ უნდა იყოს დაგმობილი. სხვა გზა ქართველებს არ გაგვაჩნია. და საერთოდ, გაუგებარია, რა საჭიროა ხუთასი წლის წინანდელ საქმეებში ქექვა და იქ საქართველოს „მტრების“ ძებნა, როცა ჩვენ ჩვენი სამშობლოს ყველაზე გრანდიოზული ღალატის, დაშლის, განადგურებისა და გაძარცვის პერიოდში ვცხოვრობთ? სააკაძემ კი არა, რომელმა შაჰაბასმა მოუტანა საქართველოს იმდენი ნგრევა, სისხლი და უბედურება, რამდენიც ახლანდელმა ხელისუფლებამ? ასე რომ, მოდით ეროვნული ინტერესების ღალატს თანამედროვე ცხოვრებაში ვებრძოლოთ. ჩვენმა წინაპრებმა ისე იცხოვრეს, როგორც ძალუძდათ, მაგრამ მთავარი კი გააკეთეს – შთამომავლობას საქართველო დაუტოვეს. გადავცემთ კი ჩვენ, თანამედროვე ქართველები, საქართველოს ჩვენს შთამომავლობას? აი, რა არის საფიქრალი.

გაგრძელება იქნება

მწერლობა კარდუ

ანუ ბრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

აკაკი ბაქრაძე

ამ ამბის თხრობა რომ დაასრულა, მერლინმა უტერპენდრაგონს მიმართა: ხელმწიფევ, ახლა შენ მესამედ უნდა გააკეთო ასეთი მაგიდა და ღმრთის მადლი დაიმსახურო.

უტერპენდრაგონს მოეწონა მერლინის რჩევა, ოდონდ ჯადოქარს უბრძანა: ამას მარტო მე ვერ შევძლებ. ჩემი სახელითა და დახმარებით უმეთაურე ამ საქმეს. წმ.სამების დღესასწაულზე კი სტუმრებს საქმის კეთილად გასრულება ვახაროთო.

რაც გადაწყვიტეს, გააკეთეს კიდეც. წმ.სამების დღესასწაულისათვის მრგვალი მაგიდა მზად იყო. მეფემ სამეფოს რჩეული რაინდები და სეფექალები მოიწვია. დიდი ზეიმი და ობა გაიმართა.

ეს მაგიდა მემკვიდრეობით გადაეცა უტერპენდრაგონის ძეს მეფე ართურს. მის გარშემო იკრიბებიან მისი რაინდები.

სხვა თქმულებაც არსებობს, რომელსაც ბენედიქტელი ბერი უილიამ მალმსმბერი (1090–1143 წ.წ.) გვატყობინებს.

იერუსალიმის პირველ ეპისკოპოს ფილიპეს უბრძანებია იოსებ არიმათიელისათვის ბრიტანეთში გამგზავრებულიყო. იოსები ბრიტანეთში ჩასულა. თავად პირადად ჩაუტანია მრგვალი მაგიდაც, თასიც ზიარებისათვის და ის შუბიც, რომელიც რომაელმა ლეგიონერმა ლონგინუსმა მაცხოვარს ფერდში ჰკრა. იოსებ არიმათიელს, ბრიტანეთში, იმ ადგილას, სადაც მერე გლასტონბერის მონასტერი იყო, პაწია ეკლესია აუშენებია. ქრისტიანობის გავრცელებისათვის საძირკველი ჩაუყრია.

სულ სხვას ამბობს ტომას მელორი (1408–1471 წ.წ.): „მრგვალი მაგიდა კი შექმნა მერლინმა ნიშნად იმისა, რომ მსოფლიოც მრგვალია. მრგვალი მაგიდის მნიშვნელობა ყველამ ასე უნდა გაიგოს, რადგან მთელი კაცობრიობა, საქრისტიანო თუ სამუსლიმანო, მრგვალ მაგიდას ესწრაფვის...“

ასე რომ, მრგვალ მაგიდაზე ნაირნაირი თქმულება და შეხედულება არსებობს.

მეფე ართურის რაინდებიდან მხოლოდ უვაუკაცესნი, უკეთილშობილესნი, უწმინდესი და უსპეტაკესი ეძებენ და იცავენ გრაალს. ზოგიერთი მწერალი მათ რაოდენობასაც მიუთითებს – ორმოცდაათნი იყვნენო. მაგრამ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ყველას ისე ხშირად არ ახსენებენ, როგორც, ვთქვათ, პარციფალს, ლანსელოტს, გალაჰადს, ლოენგრინს და კიდევ ზოგიერთ სხვას. ჩანს, მათ შორისაც იყვნენ კიდევ უფრო მეტად გამორჩეულნი.

თავად სიტყვა გრაალის მნიშვნელობა დღემდე გაურკვეველია, თუმცა მისი ეტიმოლოგიური გაშიფრვის ბევრი ცდა ყოფილა. ეს სიტყვა იმთავითვე ბუნდოვანი იყო, – გვარწმუნებს ფილოლოგი ფრანც კამპერსი (1866–1919 წ.წ.). ერთი კია, გრაალს ორი სახე აქვს. ერთი კრეტიენ დე ტრუასაგან მომდინარეობს, მეორე – ვოლფრამ ფონ ეშენბახისაგან.

ფრანგი პოეტის მიხედვით, გრაალი ოქროს თასია, კეთილშობილი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი. მასში იოსებ არიმათიელმა ქრისტეს სისხლი დააგროვა. კრეტიენ დე ტრუას ტრადიციის გამგრძელებლებს მაცხოვრის სისხლის დაგროვება ორგვარად აქვთ წარმოდგენილი. ერთნი ამბობენ, რომ იოსებმა იესოს სისხლიანი კვართი გაწურა და ეს სისხლია თასში დაგროვილი. მეორენი კი ვარაუდობენ, რომ თასში ის სისხლია ჩასხმული, რომელიც ფერდიდან გადმოუვიდა ქრისტეს, როცა რომაელმა ლეგიონერმა მას შუბი ჰკრა (უფრო მეტიც: არიან მწერლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ გრაალი მარტო თასი კი არ არის, არამედ ყველაფერი ერთად– თასიც, შუბიც და საიდუმლო სერობის მრგვალი მაგიდაც).

მოგვიანებით ქრისტეს სისხლით სავსე თასი იმ თასთან დაკავშირდა, რომელიც საიდუმლო სერობის დროს ეჭირა მაცხოვარს ხელში. გრაალით დაინტერესებული მკვლევარები და მწერლები უფრო შორსაც წავიდნენ. პოეტი იოჰან იოზეფ გიორესი (1776–1848 წ.წ.) თვლის, რომ გრაალში ჩაქსოვილია უძველესი იდეა ქურუმთა საიდუმლო სიბრძნისა. იგი პარალელს აკლებს ჰერკულესისა და ჰერმეს-მეგვიპტელის თასებთან, იმ თასებთანაც, ბაკხუსის მისტერიების დროს რომ იყენებდნენ. არც სპარსეთის ლეგენდური მეფის ჯემშიდის თასი ავიწყდებათ. გიორესი ინდოეთშიაც გადადის და იქაურ თქმულებებშიაც ბევრ მსგავსებას პოულობს. მსგავსების ძიება უსაფუძვლო არ არის. მკვლევარები მრავალგვარი დამთხვევის მოწმენი ხდებიან. მაგალითად, სპარსეთის ლეგენდური მეფის ჯემშიდის თასში ჩასხმულ სითხეს სიბრძნისა და უკვდავების მინიჭების ძალა აქვს. მარადიული ახალგაზრდობის შენარჩუნებაც შეუძლია. ეს თვისებები გრაალსაც აქვს. ჯემშიდი კი, გადმოცემების მიხედვით, 800 წლით ადრე ცხოვრობდა ქრისტეზე. პერსეპოლისიც ჯემშიდის აშენებულია. სპარსელებსაც მან ასწავლა მეცნიერება, ხელოვნება, მიწის დამუშავება, ზღვის წიაღში განძის ძიება. მანვე დაუწერა ხალხს კანონები.

ქართველი მკითხველის ყურადღებას, ალბათ, ისიც მიიპყრობს, რომ ჰერკულესს თასი მზის ღმერთმა ჰელიოსმა აჩუქა. ჰელიოსი კი კოლხეთის მითოლოგიური მეფის აიეტის მამა იყო.

ასე ეჯაჭვებიან ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა ხალხის თქმულებანი და ერთ მთლიან საკაცობრიო ოცნებას ქმნიან.

ვოლფრამ ფონ ეშენბახის გრაალი სხვანაირია. იგი თვლის, რომ გრაალი ძვირფასი ქვაა, კეთილშობილი თვალია, რომელიც იოსებ არიმათიელმა ქრისტეს იმ სისხლით გაჟღინთა, რომელი ლეგიონერის შუბიდან რომ მოწვეთავდა (საერთოდ ამ შუბს შეუწყვეტლივ, მარადიულად სდის სისხლი). იგი სამოთხიდან წარმომაელობს. ყოველ წელს, ვნების პარასკევს, მოაქვს იგი ზეციურ თეთრ მტრედს. მტრედი ქვას ობლატში ახვევს. არავის აქვს მისი ხილვის ძალა, უნარი და უფლება. მის თვალისმომჭრელ შორეულ ნათებას შეიძლება თვალი მოჰკრას მხოლოდ უბიწო, უმანკო რაინდმა, ვისაც არავითარი ცოდვა არ ჩაუდენია. ვინც მხოლოდ კეთილის დამკვიდრებისთვის იბრძოდა და იღვწოდა.

სხვადასხვაგვარად უყურებენ ვოლფრამ ფონ ეშენბახის გრაალის ქვის წარმომავლობას თანამედროვე გერმანელი ჟურნალისტი ჰელმუტ ბერნდტი და მწერალი ტანკრედ დორსტი.

იერუსალიმში, უფლის საფლავზე აგებულ ტაძარში დიდი კირქვის კლდეა. ჰელმუტ ბერნდტის ვარაუდით, ვოფრამ ფონ ეშენბახის გრაალის ქვა სწორედ ის ქვაა, უფლის საფლავზე აგებულ ტაძარში კირქვის კლდეს რომ მოამტვრიეს ჯვაროსანთა რაინდებმა და ევროპაში ჩამოიტანეს.

ტანკრედ დორსტს კი მიაჩნია, რომ გრაალის ქვა უნდა იყოს ის კეთილშობილი თვალი, ლუციფერის გვირგვინს რომ მოძვრა, როცა დაცემული ანგელოსი, მისი ამპარტავნების გამო, ზესკნელიდან ქვესკნელში გადაისროლეს და ძირს დაენარცხა.

ასე ნაირნაირია გრაალზე შეხედულებანი. თუმცა ერთ საკითხში ყველა ერთსულოვანია. გრაალი გამოხატავს კაცობრიობის განუხორციელებელ ოცნებას. მის მისწრაფებას განახლების, აღორძინების, მშვენიერების, მარადიული ახალგაზრდობისა და კეთილისაკენ.

ფრანგი დიპლომატი და მწერალი გობინო (1816–1882 წ.წ.) ამბობდა: გრაალი არის კეთილშობილი ადამიანების რწმენა. იგი არის მუზარადი და მახვილი. იგი არის ხიბლი, რომელიც ზეპურ გულებს დაუღლელად აცოცხლებს. იგი არის ყველა აუხდენელი სურვილის თავმყრა. მისთვის გრაალი ღირსებაც არის, სიყვარულიც და თავისუფლებაც.

მე ვეძებ ქრისტეს, რომ მასში სიკეთილი ვეპოვო, – ამბობს გერმანელი ფილოსოფოსისა და პოეტის ფრიდრიხ ლინჰარდის (1865–1929 წ.წ.) მიერ დახატული მწირი. ამაზე რაინდი პარსიფალი უპასუხებს მწირს – მეც ვეძებ ქრისტეს, რომ მასში გამარჯვება ვიხილოო და გრაალის საძებნელად მიეშურება.

გერჰარტ ჰაუპტმანის (1862–1946 წ.წ.) წარმოდგენით, გრაალის სამეფოში ისეთივე ჰარმონია სუფევს, როგორიც „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებით თუ ვიტყვით, ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის საბრძანებელში დამკვიდრდა.

„ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ–ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
აკთა მთქმელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან ძოვდეს“.

მოკლედ ასეთია გრაალის ამბავი. ვისაც უფრო ვრცლად სურს მისი გაცნობა, ბევრი რამ სანიაზო შეუძლია ამოიკითხოს 1989 წელს, მიუნხენში, გამოცემულ წიგნში „Das Buch vom Gral “.

გრაალის სულ სხვა ვერსიანტს ქმნის გრიგოლ რობაქიძე. ქართველი მწერლის გრაალი არც კრეტიენ დე ტრუას გრაალს ჰგავს და არც ვოლფრამ ფონ ეშენბახისას.

„გრაალის მცველნის“ პროტაგონისტი ლევან ორბელი კითხულობს ლექსს, რომელიც ახალ გრაალს გვიხატავს.

უფსკრულის პირას დგანან უკანასკნელი რაინდები. მტრის მორჩილებას ამჯობინებენ სიკვდილს. ისინი ატარებენ რელიქვიას – წმინდა ნინოს ჯვარს, ვაზისაგან გამოჭრილს და მისი თმებით შეკრულს. ის იყო საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს გადაშვებულიყვნენ წკვარამში, რომ პაწია, მტირალი გოგო შემთხვევით შეეხო ჯვარს. დაინახეს: გამხმარი ხე აყვავდა, ოქროსფერი მწიფე მტევნები მოისხა. აქამდე სასოწარკვეთილი რაინდები ზეადამიანური ძალით აღიავსნენ. უძლეველნი გახდნენ.

რაინდებმა ჯადოსნური მტევნები დაწურეს. წვენი თასში დააგროვეს ისე, როგორც იოსებ არიმათიელმა დააგროვა გოლგოთაზე დაღვრილი სისხლი მაცხოვარისა. მათ თასი ფარულად შეინახეს. იცავდნენ ვითარცა სიწმინდეს. თასის გარშემო, წმ.გრაალის მსგავსად, ჩამოყალიბდა საიდუმლო ორდენი. საუკუნეების მანძილზე თასი გადაეცემა მცველიდან მცველს. თასში დევს გული – საქართველოს მზე. გრაალის გუშაგები დარაჯობენ იდუმალ მიწას.

ვერც წმ.გრაალის რაინდებს შეხვდებით გრიგოლ რობაქიძის რომანში. არც ამფორტასი, არც ბორსი, არც ლოენგრინი, არც გავეინი, არც გალაჰადი, არც ლანსელოტი, არც პარციფალი და არც სხვა ვინმე კარგად ცნობილი რაინდებიდან არ ჩანან „გრაალის მცველნში“. აქ სულ სხვა პერსონაჟები მოქმედებენ – ლევან ორბელი, ოდილიანი, ავალა, მამია ოდიშელი, მზისავარი, დათა, კოსტა,ჰიდდირ, საღარა, მარჯანი, უშანგ, ხორავ, ვასსა, ვანო, ს.ო., შავდია, ლეგი... ვინ არიან ესენი? კალისტრატე სალია იძლევა განმარტებას რომელი პერსონაჟი რომელ რეალურ ისტორიულ პირს გულისხმობდა. „გრაალის მცველნის“ მოქმედი პირნი არიან ნამდვილნი და არა გამოგონილნი. გრიგოლს სურდა მათი ვინაობის გახსნა ერთ–ერთ ნომერში ჩვენი ჟურნალისა სათანადო წერილის დართვით. მას ეს არ დასცალდა. ჩვენ ვასრულებთ მის სურვილს“ (ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1964 წ., №47, გვ. 5).

ოდილიანი – პაოლო იაშვილია,
ავალა – ტიციან ტაბიძე,
მამია ოდიშელი – შალვა დადიანი,
მზისავარ – აპოლონ წულაძე,
დათა და კოსტა – ძმები ვლადიმერ და გრიგოლ ჯაფარიძეები,
ჰიდდირ – მამედ ბეგ აბაშიძე,
საღარა – მფრინავი საღარაძე,
მარჯანი – კოტე მარჯანიშვილი,
უშანგ – უშანგი ჩხეიძე,
ხორავ – აკაკი ხორავა,
ვასსა – აკაკი ვასაძე,
ვანო – იაკობ ნიკოლაძე,
ს.ო. – სერგო ორჯონიკიძე,
შავდია – ლავრენტი ბერია,
ლეგა – ლევან ღოღობერიძე.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №109–116

გაგრძელება №3-6 გვ.

•მემკვიდრეობა

კარდუ

ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

აკაკი ბაქრაძე

მეხუთე გვერდიდან

თუ ლევან ორბელი თვით გ.რობაქიძეა, თავადი გიორგის პროტოტიპი ჯერჯერობით უცნობი რჩება.

გრაალს იცავენ თავადი გიორგი (თასი მის ოჯახში ინახება), ლევან ორბელი, ოდილიანი, ავალა, მამია ოდიშელი, მზისავარ, ჰიდდირ, სალარა და სხვანი. თასის მტრები არიან ს.ო., შავდია, ლეგა და რუსი ჩეკისტი ველსკი (მისი პროტოტიპიც დაუდგენელია).

თუ ევროპულ ლიტერატურაში გრაალის გუშაგები რაინდები არიან, გრიგოლ რობაქიძის რომანში მას იცავენ მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები. სულ თავდაპირველად გრაალს დარაჯობდნენო, – ამბობს პოეტი და მეცნიერი კარლ ზიმროკი (1802–1878 წ.წ.), – ის ანგელოსები, რომელნიც ნეიტრალური დარჩნენ ღმერთისა და ლუციფერის ბრძოლაში.

ანგელოსები – რაინდები – მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები. ასეთი ცვლილება გ.რობაქიძესთან შემთხვევითი არ არის. იგი თვლის, რომ როგორც პიროვნების, ისე მთელი ერის გადარჩენისათვის აუცილებელია სულის მოვლა-პატრონობა, მისი შეუბღალავი შენახვა. თავადი გიორგი, ვის ოჯახშიც გრაალი ინახება, მხოლოდ სოციალურად კი არ არის არისტოკრატი, არამედ სულითაც. მისი ძალა ის არის, რომ იგი არასოდეს ტყდება სულით. ჩეკისტი ველსკიც გაშმაგებული იმიტომ დაეძებს გრაალს, რომ მის განადგურებით ქართველი ხალხის სულიერი გატეხვა უნდა. სულიერი დაბეჩავება სურს.

ველსკი უბრალო ჩეკისტი არ გახლავთ, ვისაც ადამიანთა დატუსაღება და ციხეში ჩაყრა ემარჯვება. იგი გაქნილი გაიძვერაა, სხარტი გონების პატრონი, ნაკითხი და განათლებული. ზედმიწევნით ზუსტად იცის, რას აკეთებს და რატომ. თავის ქმედებას ყოველთვის ასაბუთებს მზაკვრულად მოფიქრებული არგუმენტებით.

რომანის ორი პერსონაჟი (ლევან ორბელი და ველსკი) რომანის ორი იდეის – გრაალის დაცვისა და გრაალის ნგრევის – პერსონიფიკაციაა. თუ ლევან ორბელის აზრით, გრაალით გამოხატული იდეის დაცვა პიროვნებისა და ერის გადარჩენას ნიშნავს, ველსკის რწმენით, გრაალის დანგრევა აუცილებელია პიროვნებისა და ერის დასამორჩილებლად. თუმცა ამ მორჩილება-დათრგუნვას იგი აბსოლუტური თავისუფლების სახელით ნათლავს. ველსკის შეხედულება ნათლად ვლინდება იმ საუბარში, რომელიც მიმდინარეობს მატარებლით მგზავრობის დროს. ველსკი გულახდილად გამოთქვამს მას ჯერ უცნობ თანამგზავრთან და შემდეგ ლევან ორბელთან მასლაათში.

ჩვენ (ე.ი. ბოლშევიკ-კომუნისტებს) გვინდა კაცობრიობას ტოტალური თავისუფლება მოვუტანოთო, – ეუბნება იგი ახალგაზრდა თანამგზავრს. ამისათვის აუცილებელია ადამიანის რწმენიდან ღმერთის გაძევება, რადგან სადაც ღმერთია, იქ თავისუფლებისათვის ადგილი არ არის. ღმერთის რწმენა უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს. უსიტყვო მორჩილება კი მონობაა. თუ მონა ხარ, რა მნიშვნელობა აქვს იმას, ვისი მონა იქნები – ღმერთისა თუ ადამიანის? ამიტომ ადამიანი ღმერთისაგან უნდა განთავისუფლდეს. (სხვათა შორის, ზუსტად ასეთი აზრი გამოუთქვამს ანარქისტ მიხეილ ბაკუნინს 1869 წელს, ბერნში, მშვიდობისა და თავისუფლების კონგრესზე. იხ. დ.მერეჟკოვსკის „Грядущий хам".) მართალია, თქმულების მიხედვით, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ღმერთების წინააღმდეგ მებრძოლი პრომეთე მიაჯაჭვეს, მაგრამ ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე ძნელი საქართველოშია. აქ ყველაფერი საიდუმლოებით არის მოცული. საიდუმლოება კი ღმერთის თავშესაფარია. საჭიროა იდუმალების ფარდის ჩამოხსნა, გაშიშვლება. როცა ადამიანი დაინახავს, რომ საიდუმლოებაში არაფერი იმალება, რომ იქ სიცარიელეა, ადვილი იქნება მისი გულიდან ღმერთის ამოძირკვა. საიდუმლოება აუძლურებს ადამიანის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

შემდეგ ველსკი თანამოსაუბრეს უყვება:

როცა ნაპოლეონი იტალიაში ლაშქრობდაო, ფრანგებმა გენუა დაიკავეს. ისინი სან ლორენცოს ტაძარში შევიდნენ. ტაძრის ერთ სენაკში უბრალო ტყავის შალითა იპოვნეს. მასში იდო ოქროსფოვილში შეხვეული ლურჯი, მბრწყინავი, საფირონის შვიდკუთხიანი თასი. თქმულებისდა მიხედვით, იგი იყო ჩამოტანილი ანტიოქიიდან ჯვაროსანთა მიერ. თასი სან ლორენცოს ტაძარში ინახებოდა და წმ.გრაალად ითვლებოდა. წელიწადში ერთხელ მორწმუნეები მთელი იტალიიდან და მეზობელ ქვეყნებიდან სან ლორენცოს ტაძარში იკრიბებოდნენ წმ. გრაალის სანახავად.

ნაპოლეონმა თასი პარიზში გაგზავნა, რომ დაედგინათ მისი მიწიერი ღირებულება.

იმავდროულად, როცა ეს ამბავი გენუაში ხდებოდაო, – აგრძელებს თხრობას ველსკი, – ფრანგების ჯარი ესპანეთში, ბარსელონას ახლოს, მონტსერატის ციცაბო მთასთან დაბანაკდა. ამ მთაზე ციხე-დარბაზი იდგა. მასაც ის სახელი ერქვა, რაც მთას. თქმულება ციხე-დარბაზს ლოენგრინსა და სხვა რაინდებს უკავშირებს. როცა ფრანგების ჯარი მთაზე აიჭრა, პირწმინდად დაანგრია ბენედიქტელთა მონასტერი. მონასტერში იყო ქრისტეს სასწაულმოქმედი ხატი. გადმოცემის თანახმად, მოციქულმა ლუკამ პირადად გამოჭრა იგი ხისაგან. ეს ხატიც დაიღუპა. იმ წუთს, რა წუთშიაც ბენედიქტელთა მონასტერი ნაცარტუტად აქციეს, პარიზში გაიბზარა სან ლორენცოს ტაძრიდან ჩატანილი თასი. მე მაინტერესებსო, – დასძენს ველსკი, – დაინახა თუ არა ნაპოლეონმა კავშირი, რომელიც ამ ორ მოვლენას შორის არსებობდაო.

მაგრამ ეს არ არის მთავარი. ამ გრძელ ამბავს ველსკი სხვა დასკვნისათვის ყვება: იგი, ვინც ვაშინერსს არღვევს და უშიშარი რჩება, უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მკრეხელი.

შეშფოთებული უსმენს ამ საუბარს ლევან ორბელი. მისთვის გასაგებია, რა მიზნით დაეძებს გრაალს ველსკი. რისთვის სურს მისი განადგურება. მას უნდა ქართველ ხალხს რწმენა წაართვას. თავად კი უფრო მეტი იყოს, ვიდრე უბრალო ათეისტი. ლევანი საუბარში ერევა. იგი ჯერ შეცდომებს უსწორებს ველსკის. თასი ანტიოქიიდან კი არ ჩამოიტანესო, არამედ კესარეადან, სადაც ჰეროდეს ძველ ტაძარში ინახებოდა. ტაძარი არაბებს მეჩეთად ჰქონდათ გადაკეთებული. თასი საფირონისა კი არა, სმარაგდისა იყოო. არც შვიდკუთხა ყოფილა, ექვსკუთხედი გახლდათო. ციხე-დარბაზსაც მონტსალვაჩი ერქვაო და არა მონტსერატი. მაგრამ ყველაფერი ეს წვრილმანია. ასეთი შეცდომების გასწორებით ლევანი კამათში ვერ დაჩაგრავს ველსკის. ჩეკისტის შეხედულებას ლევანმა უფრო მძაფრი აზრი უნდა დაუპირისპიროს. ლევან ორბელის რწმენით – ნამდვილი და მართალი ძალა იმას აქვს, ვისაც სიწმინდის დაცვა შეუძლია. გრაალის მცველი ისეთივე ძლიერია, როგორც გრაალის დამანგრეველი. პარციფალი ბევრჯერ უფრო ღონიერია, ვიდრე რომელიმე მკრეხელი, თუნდაც იგი ნაპოლეონი იყოს.

შეხედულებათა ეს დაპირისპირება მარტო თეორიულ ხასიათს არ ატარებს. იგი სისხლიანი ომითაც გამოიხატება. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაც ამ კუთხით არის რომანში დანახული.

ლევან ორბელს ნათლად ესმის: ამბოხება წინასწარ განწირულია. მისი დამარცხება გარდაუვალია. უმთავრესია და არსებითი რწმენა-იმედის, ანუ გრაალის გადარჩენა.

ველსკიმაც ჩინებულად იცის – აჯანყებას იოლად მოუღებენ ბოლოს. მაგრამ ქართველთა ეს დამარცხება არაფერს ნიშნავს, თუ გადარჩა გრაალი.

გრაალისათვის ბრძოლაში ლევან ორბელი და მისი ამხანაგები იმარჯვებენ. ველსკი და მისი ბოლშევიკ-კომუნისტები მარცხდებიან. „გრაალის მცველნის" ალეგორიული შინაარსის ამოკითხვა ძნელი არ არის. ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალხმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა-იმედი, ანუ დაიცვას გრაალი. ამით გაუმკლავდება იგი მტერს, შინაური იქნება იგი თუ გარეშე. მწერლობის უწმინდესი ამოცანა კი არის დაეხმაროს ერს გრაალის დაცვაში.

გაგრძელება იქნება



ნამდვილი ლიტერატურის მიმართ ინტერესი არასოდეს განელდება

ოთარ ჩხეიძის ახალი რომანის – „თეთრი დათვი" – ერთი ფრაგმენტის გამოქვეყნებამ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ისეთი გამოხმაურება და აღტაცება გამოიწვია, თვალნათლივ დაგვარწმუნა, რომ მეტისმეტად გადაჭარბებულია ხმები, თითქოს განელდა მკითხველის ინტერესი მწერლობის მიმართ.

ნამდვილი ლიტერატურის მიმართ ინტერესი არასოდეს განელდება.

მრავალი მკითხველის შეკითხვის პასუხად, თუ როდის უნდა ველოდეთ ამ რომანს სრული სახით, გაცნობებთ, რომ მისი გამოქვეყნება განზრახულია ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე 1998 წლის უახლოეს ნომრებში, გამომცემლობა „ლომისი" კი ცალკე წიგნად გამოსცემს.

მოსალოდნელია, რომ ჟურნალ „ცისკრის" ტირაჟი გაიზარდოს, რათა მკითხველებს ადვილად მიუწვდეთ ხელი ამ რომანზე, რაც არამარტო ოთარ ჩხეიძის, არამედ ჩვენი მწერლობის ახალ გამარჯვებად მიგვაჩნია.

გვეამაყება, რომ ამ რომანის არსებობა ჩვენი გაზეთის მეოხებით შეიტყო განათლებულმა საქართველომ და უახლოეს ნომერში ვაპირებთ კიდევ ერთი ფრაგმენტი შემოგთავაზოთ რომანიდან „თეთრი დათვი".

დავძენთ იმასაც, რომ ეს რომანი, ისევე, როგორც „არტისტული გადატრიალება", გარდა თავისთავადი მხატვრული ღირსებებისა, დაეხმარება მკითხველს უკეთ გაერკვეს ჩვენი დღევანდელობის ურთულეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია

როსტომ ჩხეიძე

დღეს და ხვალ *ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შენოგაში ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სამეცნიერო სექციის თაოსნობით იმართება დისკუსია თემაზე: „ერი და ჰეშმარიტება“. მოწვილეთგენ ცნობილი მწერლები და მეცნიერები.*

სახელწოდება გვაფიქრებინებს, რომ დისკუსია იქნება ორი თვალსაზრისის, ორი მსოფლმხედველობის ჰიდილი: ეროვნულისა და კოსმოპოლიტურის, საქართველოს სულიერი ენერგიის რწმენისა და მის მიმართ ნიჰილიზმის.

ეს დისკუსია ახლა არ იწყება. ის, აშკარად თუ ფარულად, მას შემდეგ დაიწყო და განუწყვეტლივ გრძელდება, რაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის გაუქმება გამოაცხადა რუსეთმა 1801 წელს. და გაგრძელდება მანამ, ვიდრე მოჩვენებითი დამოუკიდებლობის ნაცვლად მართლა არ მივაღწევთ თავისუფლებას.

განზრახულია, რომ დისკუსიის მასალები ცალკე წიგნად გამოიცეს. ზოგიერთი მასალის გამოქვეყნებას აპირებს გაზეთი „საქართველო“ და ჟურნალი „რანი ვართ ქართველნი?!“

ამჯერად კი გთავაზობთ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავმჯდომარის როსტომ ჩხეიძის სტატიას „მარადიული ჰიდილის ანარეკლი“, რომელშიც გახსენებულია მძაფრი პოლემიკა იაკობ გოგებაშვილსა და ივანე ჯავახიშვილს შორის სწორედ ამ თემის ირგვლივ.

მარადიული ჰიდილის ანარეკლი

ივანე ჯავახიშვილის ეს მცირე თხულება „მამულიშვილობა და მეცნიერება“ 1904 წელს გამოქვეყნდა და მას მერე აღარსად განმეორებულა. ის კი არა, ბოლო წლებამდე აღარც კი იხსენიებდნენ, ვიდრე 1988 წელს თამაზ ნატროშვილი და გია ჟორჟოლიანი ხელახლა დააბრუნებდნენ სამეცნიერო მიმოქცევაში: „ღირსსახსოვარი წიგნი“ („ლიტერატურული საქართველო“, 2 სექტემბერი).

მათი თვალსაზრისით: „მამულიშვილობა და მეცნიერება“ ახალგაზრდა ქართველი მკვლევარის მიმავალი მოღვაწეობის მტკიცედ ჩამოყალიბებულ პროგრამად წარმოგვიდგება, იმ ერთგვარ კონსპექტად, სადაც გადმოცემულია ივანე ჯავახიშვილის ის მეთოდოლოგიური და მსოფლმხედველობრივი პრინციპები, საფუძვლად რომ უნდა დასდებოდა წარსულის შესწავლასა და კვლევა-ძიებას.

ეს თხზულება პოლემიკურია და დაიწერა იაკობ გოგებაშვილის წიგნაკის „ბურჯი ეროვნებისა“ პასუხად, რომლის მეორე, შევსებული გამოცემა 1903 წელს დაისტამბა.

„...როცა რომელსამე გაელენიან და დამსახურებულ მწერალს თავის თხზულებაში შემცდარი და საზოგადოებისათვის მაენებელი აზრები აქვს გამოთქმული, თვითეული განათლებული ქართველი ზნეობრივად მოვალეა უყურადღებოდ არ დასტოვოს წიგნი: ავტორის პირად გაელენის წყალობით შემცდარი აზრიც-კი ადვილად ერცელდება საზოგადოებაში“, თავიდანვე აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი და, რაკიღა ასეთ გაელენიან მწერლად იაკობ გოგებაშვილს აღიარებს, შემცდარად და ზიანისმომტანად კი მის ამ წიგნაკში გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება თუ მსჯელობა მიაჩნია, ამიტომაც გამოიწვია უშეღავათო კამათში.

„დედა-ენის“ შემოქმედს პოლემიკა არ გაუგრძელებია და იმხანად მათ დავაში არც სხვა ჩარეულა: მხოლოდ ახლაღა სცადეს იმ ფერფლწაყრილი, სინამდვილეში კი არამცთუ დღეს, არამედ სამომავლოდაც გასათვალისწინებელი პაექრობის შეფასება და უპირატესობა ივანე ჯავახიშვილის მტკიცებებს მიანიჭეს.

ის მთავარი თეზისი – მამულიშვილობისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულება – რომლის ირგვლივაც შეეჯახა ამ ორი მოღვაწის შეხედულებანი, კიდევ ბევრჯერ შეახსენებს თავს მტკიცნეულად ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს, ვიდრე სხვის კაბალაში ვიქნებით გამომწყვდეულნი.

იაკობ გოგებაშვილის თხზულების ქარგა და დედააზრი ისაა. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს დედაენას ერისა და ადამიანის განვითარებასა და წარმატებაში; და რომ ენაა ერის ცხოვრების სარკე.

ამ ძირითად მტკიცებებში ჩაურთო თვალსაზრითი ადვოკატური, გამოსარჩლებითი ისტორიის აუცილებლობისა, ოღონდ – როგორც თვითონვე აღნიშნა – ეს არ ყოფილა ორიგინალური აზრი, არამედ იმეორებდა ევროპის მცირე ქვეყნებში გავრცელებულ სწრაფვას: „ევროპაში, მეტადრე ბოლო ხანებში ყველა პატარა ერი, დიდის სახელმწიფოებთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქმნას თვისის ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო ღონისძიება ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თვის წარსულის ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა, თაყვანისცემისა. ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი; ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანები მცირდებიან, მაგრამ მათ სარჩულად უდევს უწმინდესი გრძნობა – მამულის სიყვარული – და უზენაესი მიზანი – დაცვა თვისის ერის სიცოცხლისა“.

„ჩვენს შორის რაღასა ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა“, დასძენს იქვე და ნიმუშად იმოწმებს ნიკო მარის იმ მოსაზრებებს, რამაც სხვადასხვა დროს ძლიერ ააფორიაქა ჩვენი საზოგადოებრიობა.

ივანე ჯავახიშვილი, ცხადია, უყოყმანოდ იზიარებდა „ბურჯი ეროვნებისას“ დედააზრს ენის უზენაესობაზე, თუმც იმასაც აღნიშნავს: „...ენის მნიშვნელობის შესახებ გერმანულად და ფრანგულად მრავალი საუცხოო თხზულება არსებობს, რომლებშიაც გაცილებით უფრო უკეთესად, საბუთიანად და ცხადად არის გამოთქმული ის საკითხი, რომელსაც ბ-ნი გოგებაშვილი ეხება“. ხოლო ადვოკატური, გამოსარჩლებითი ისტორიის მოთხოვნა მკაცრად უარყო და თავისი წიგნაკის ერთი ნაწილი მიუძღვნა მის ყოველმხრივ დასაბუთებას, თუ როგორ შეიძლება აღვერხვდეს ერის თვითცნობიერების აღორძინებას საზოგადოებისათვის თვალების ახვევა (ღირსებათა გადადებისა და ნაკლულებათა შემცირების გზით) და რაოდენ სამძიმო შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას პოლიტიკურადაც: ხელისუფლების ნაციონალური კურსი ამით არ შეიცვლება, მოტყუებული საზოგადოება კი უსაფუძვლო სიმამაცესა და ქმაყოფილებას შეეჩვევა და მოქმედებაზე აღარ იფიქრებს, საისტორიო მეცნიერების მიზანი და ზნეობრივი ვალი კი ისაა, რომ პირუთვნელად აღადგინოს წარსულის სურათები კრიტიკული განსჯის მეოხებით: „...თუნდაც რომ გამოკვლევამ ქართველ მეცნიერს დაანახვოს, რომ იმის სამშობლოს წარსული თავისებურსა და დიადს არაფერს წარმოადგენს, მაინც იგი არ უნდა შეუშინდეს თავის დასკვნის გამოქვეყნებას“.

ხოლო თხზულების მეორე ნაწილი ნიკო მარის პიროვნებისა და სამეცნიერო ნაღვაწის აპოლოგიად წარმოგვიდგება: კრიტიკული მეთოდის მომარჯვებით მატიანეთა ცნობები რომ განიხილა, გადააფასა დადგენილი შეხედულებანი და ასე შეადგინა ქართული მწერლობის მეცნიერულად გააზრებული ისტორია.

როცა ჩვენი მოღვაწენი მწვავედ ედავებოდნენ მის ახლებურ თვალსაზრისებს, ნიკო მარი ამას მათი პატრიოტული გრძნობებით ხსნიდა და მიიჩნევდა: მშვენიერი რამაა სამშობლოსადმი სიყვარული, მაგრამ მაინც კაცი გადაჭარბებას უნდა უფრთხოდეს, მეტადრე მაშინ, თუკი ამნაირი გადაჭარბება ჩვენს მსჯელობას ამახინჯებსო.

ივანე ჯავახიშვილიც საესებით იზიარებს ქართველ მოღვაწეთა მოქმედების ასეთნაირ აღქმას: თუ პროფესორ მარის ნაწერებს ახლა მტრის თვალით უყურებენ, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენში საზოგადოდ ძნელია მუშაობა, მეტადრე თუ მეცნიერი ახალ გზას იკვლევს და კრიტიკულ მიმართულებას ადგია. ჩვენ მიძინებულ საზოგადოებას შეწუხებისა და კრიტიკისა ეშინია და ყველგან მტრები ელანდებაო.

დაე უსიამოვნო ყოფილიყო ჩვენი საზოგადოების ყურთასმენისათვის ეს ახლებური გააზრებანი, დაე ემტკიცებინათ: მარი მკვლევართა იმ გუნდიდანაა, რომელთაც სურთ ჩვენი წარსულის ყოველი ღირსების დამალვა და ყოველი თავისებურების უარყოფაო; ახალგაზრდა მკვლევარი –დამდგარი ნიკო მარის გზაზე და მოსურნე ჭეშმარიტების ძიების და გარკვევისა – არ აპირებდა რაიმე დაეთმო საზოგადოებრივი აზრის შიშით.

დაე, ძნელი ყოფილიყო ახალი გზების გაკვალვა.

დაე, მასაც მკაცრად შებმოდნენ.

ჭეშმარიტება ყველაფერზე მაღლა იდგა, ის იყო უზენაესი იდეალი და მისკენ სწრაფვას არაფერზე გაცვლიდა.

ნიკო მარი მიაჩნდა პირუთვნელი მკვლევარის ნიმუშად, ყველაფრის საზომად ჭეშმარიტების ძიება რომ დაესახა, და თუკი მეცნიერული კვლევისას შეცდომებიც მოდიოდა, ბოლოსდაბოლოს შეუმცდარი ვინ ყოფილა ქვეყანაზე. ამიტომ ქართველ საზოგადოებრიობას მორალური უფლება არ ჰქონდა, მტკიცნეულად განეცადა მისი შეხედულებანი და აღშფოთება გამოეთქვა ხოლმე, მითუმეტეს, ეცადა ხელის შეშლა კრიტიკული მეთოდის გამოყენებისათვის.

ივანე ჯავახიშვილი ჭეშმარიტების ძიებად უთვლიდა ნიკო მარს იმ დასკვნას: დაბადება და ახალი აღთქმის სასულიერო წიგნები, აგრეთვე, 14 წმიდათა ცხოვრებანი, იპოლიტეს „ქება ქებათაი“ თუ „სახისმეტყველი“, სომხურიდან არის ქართულად თარგმნილიო.

იმასაც: მოსე ხონელის საფალავნო რომანი „ამირანდარეჯანიანი“ სპარსული მოთხრობის „ყისაი-ჰამზას“ გადმოქართულებული ვერსიაო.

იმასაც: „სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ არაქართულ წყაროებს რომ ეძიებდა.

იმასაც: „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული დედნის პოენა და გამოქვეყნება რომ დაიქადა.

ჩვენს საზოგადოებას კი ამუნათებდა, გაზვიადებული, ავადმყოფური ეროვნული თავმოყვარეობა არ განებებთ გაიზიაროთ მარის ეს პირუთვნელი და მეცნიერული ნააზრევი.

ახალგაზრდა მკვლევარი თვით „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული დედნის ირგვლივ ამტყდარ ენებათაღელვასაც არ შეუშინდა, იმ მძაფრ კრიტიკულ შენიშვნებს, რაც მოჰყვა მარის იმ გახმაურებულ განცხადებას, და გაამტყუნა ჩვენს მოღვაწეთა, მათ შორის იაკობ გოგებაშვილის, გაცხარება: „ერთს ხელ-ნაწერში, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმის კატალოგშია აღწერილი, სათაურის მიხედვით შესაძლებელი იყო პრ.მარრის აზრით ეს მოთხრობა აღმოჩენილიყო. ესა სთქვა კიდეც. მაგრამ ადამიანს იმდენი ხშირად გაუცრუვდება ხოლმე; ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა, ხელნაწერებში ეს მოთხრობა არ აღმოჩნდა. რა გასაკვირველია, რომ მერე პრ.მარრი მაინც სპარსულ მოთხრობას ეძებს, ეს თვითეულ ქართულ მწერლობის მკვლევარის მოვალეობაა...“

მერე ასაბუთებს: ყოველი თხზულება მისი თანადროული ესთეტიკის მიხედვით უნდა განისაჯოს, „ვეფხისტყაოსნის“ დროს კი საესებით ბუნებრივი იყო მთელს აღმოსავლეთში სხვადასხვა პოეტებს ერთიდაიგივე სიუჟეტი რომ გაელექსათ, ეს ნაკლად არ ითვლებოდა და არც „ვეფხისტყაოსანის“ ღირსებას დააკლდება რაიმე, თუკი მისი სპარსული პირველწყარო აღმოჩნდებაო.

ამიტომ: თუმც ნიკო მარს ეს ვარაუდი გაუმტყუნდა, მაგრამ ძებნას კვლავაც რომ განაგრძობდა, ახირებით კი არ მოსდიოდა, არამედ ზნეობრივი ვალით.

ნუთუ ჩვენი მოღვაწენი იმას შეეშფოთებინა: ვაითუ „ვეფხისტყაოსნის“ დედანი მართლა აღმოჩნდეს და ამიტომ მკვლევარს მისი ძებნის ხალისი უნდა დაეუკარგოთო? ნუთუ მათი ეს წყენა და გაგულისება ჭეშმარიტების მიკვლევის წადილს მოჰყოლოდა?

მოდი, ამ თვალით გადავიკითხოთ იაკობ გოგებაშვილის საყვედური, თუ რა არის მისი სარჩული: „მან (მარმა) ამ თორმეტი წლის წინად ლაღად გამოაცხადა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმანია ლექსად სპარსული პროზაული მოთხრობისაო, და მის დედანს მოკლე ხნის განმავლობაში აღმოვაჩენო. მთელი თორმეტი წელიწადი ეძება დიდი ძებნით და მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინა ვერც ევროპაში და ვერც აზიაში, მაგრამ თქვენ გგონიათ გატყდა თავის შეცდომაში...“

აქ მხოლოდ სხვა სიტყვებითაა განმეორებული იგივე აზრი, რაც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ გამოთქვა „ქვათა ღაღადში“: „რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს, არ გაეჩხრიკოს და არც იცოდეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აიღოს და მთელს ერს შეუგინოს მისი სამართლიანად სახელოვანი კაცი... საბუთი რომ ხელში ჰქონოდა, ვინ რაღას ეტყოდა, მართლს წინ რაღა დაუდგებოდა! მაშინ თუმცა შევწუხდებოდით, მაგრამ მაინც პატივისცემითა და მოწიწებით მოვიხრიდით მართლის წინაშე. საქმე ის არის, რომ ჯერ საბუთი არ ენახა, რაც არ არის, და მაინც დაიქადა... თუ იგი საბუთი არ აღმოჩნდა, ის პატიოსანი და ყოველად ღირსეული თვისება“ ჭეშმარიტ „მეცნიერისა სადღაა, რომ სთქვას: „შეეცდი და ეინანიო“.

აშკარაა: ჭეშმარიტების გამრუდებას ან მიჩქმალვას კი არავინ სთხოვს მარს, არამედ სათუო ვარაუდის უსაბუთოდ და ნაჩქარევად გამოთქმას. და ვარაუდი რომ გაუმტყუნდა, ამის აღიარებას.

რა გამართლებაა: იმედი გაუცრუვდა და ხელნაწერში ეს მოთხრობა არ აღმოჩნდაო. განა მეცნიერის მოვალეობა არ არის, რომ აჩქარების გამო მაინც გამოთქვას სინანული? მითუმეტეს, რომ უსაბუთო განცხადებამ თითო-ოროლა ადამიანს კი არა, მთელს ერს შეულახა თავმოყვარეობა. და როცა სინანულმა მკრთალადაც არსად გაიელვა, განა ვაჟა-ფშაველასაც სრული მორალური უფლება არ ჰქონდა, რომ მარის ჯიუტ სწრაფვაში, რადაც უნდა დაჯდომოდა, „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული დედნისთვის მიეგნო, ჭეშმარიტების წყურვილი კი არა, უკეთური განზრახვის ანარეკლი დაენახა?

„მე ორგულობას, ჩვენდამი მტრობას, განზრახ სიმართლის დამახინჯებას ვერავის შეეწამებ ამგვარი თქმისათვის, მაგრამ ვინც ზნეობრივად იმართლებს თავს, იგი გონებრივის მხრით მაინც დამნაშავედ ჩაითვლება“ – ამიტომაც ამუნათებდა ვაჟა ასე მკაცრად პეტერბურგელ მკვლევარს ივანე ჯავახიშვილის წიგნაკის გამოცემიდან შვიდი წლის მერე წერილში „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. ამ წიგნაკმაც ვერ გადაარწმუნა.

ცხადია, სპარსული პირველწყაროს პოენისა არც მას ეშინოდა, თუკი მართლა არსებობდა ასეთი რამ. მოტივი მისთვისაც ის იყო, რაც ივანე ჯავახიშვილისთვის, ოღონდ სპარსული ნიმუშების ნაცვლად „ფაუსტის“ ლეგენდას იხსენებს: ამ სიუჟეტურ ქარგას ასობით მწერალი ჰყავდა, მაგრამ ყველა ესენი გაცამტვერდნენ და ჩაკვდნენ, ასე რომ, ლეგენდა ამჯერადაც ის თესლი აღმოჩნდა, რაც გოეთეს ტალანტის პოეტს თუ შეეძლო ახალი სულით აღევსო და ღირსეულად განედიდებინაო.

აშკარაა: მასაც იმ სავარაუდო პირველწყაროს ძებნა კი არ აშფოთებდა, არამედ ხელის ოოლად წამოკერა ქართველთა თავმოსაწონებელი სახელისათვის, თორემ ვერც წარმოედგინა, უბირისა თუ თავხედის გარდა, ვინ შეიძლება კვლევა-ძიების წინააღმდეგი ყოფილიყო და მოეთხოვა: იწამეთ ყოველივე, რაც ძველად დაწერილა, უკრიტიკოდ, აუწონ-დაუწონლადო.

ვაჟა არსად ახსენებს ივანე ჯავახიშვილს, იმ პოლემიკაში უშუალოდ არ ერევა, თუმც იმ დავის გამოძახილი თავისებურად გახმიანდა მის მსჯელობებში.

თუნდ ამ ადგილს დავუკვირდეთ:

„...ამტკიცებენ, – ჩვენ შოვინისტები არა ვართ, გადაჭარბებული პატრიოტიზმის ტყვეები, ჩვენი მსჯელობა მიუდგომელია (ობიექტური)... გაიგეთ, ჯარო და ჯამაათო, მიუდგომელი მეცნიერი ხალხი ვართ, და ამ დროს კი ვხედავთ, რომ თეორს შაეს არქმევენ, ტკბილს – მწარესა... იმას როდი ფიქრობენ, ჩვენთა მკვლევართა ობიექტურობა უფრო სამარცხვინოა და დამამცირებელი, ვიდრე რუსთველის პატივისმცემელთა პატრიოტიზმი“.

ამ პასაჟში ჯავახიშვილის წიგნაკის ძირეული აზრია სხვა რაკურსით განსჯილი: მეცნიერებისა და პატრიოტიზმის დაპირისპირება იმ კერძო რეალიების მიხედვით, რაც საკამათო შეიქნა ჩვენს საზოგადოებრიობასა და ახალგაზრდა სწავლულს შორის, სინამდვილეში სულ სხვა შინაარს იძენდა. პატრიოტული გრძნობები ჭეშმარიტების ძიებას კი არა, იმპერიული პოლიტიკის ათასგვარ ხერხებსა და გამოვლინებას აღდგომოდა წინ, პოლიტიკისა, რაც მიზნად ისახავდა ეროვნული ნიჰილიზმისა და არასრულფასოვნების განცდის გაღვივებას ქართველობაში ჩვენი წარსულისა და კულტურის დამცირება-გაყალბებითაც...

ყველგან მტრები ელანდებათო...

მოსალანდებელი რა იყო, როცა ჩვენი ეროვნული მოღვაწენი თავდაუზოგავად ეხლებოდნენ განუწყვეტელსა და ულმობელ ჩანაფიქრებს და ეიეგლახით ინარჩუნებდნენ თვითმყოფადობის სულსა და იერს.

პეტერბურგიდან ეს სამკედრო-სასიცოცხლო ჭიდილი, ეტყობა, ისე მკაფიოდ არა ჩანდა, კოსმოპოლიტური იდეების ზეგავლენა იქ მყოფ ქართველ ახალ თაობასაც ითრევდა და ცოტა გაიოლებულად ამიტომაც შეჰყურებდნენ ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისთვის თავგანწირულ ბრძოლასაც და ჩვენს მოღვაწეთა თავდადებასაც.

თავის დროზე თვით ილია ჭავჭავაძეც აცდუნა კოსმოპოლიტურმა იდეებმა, ათასგვარმა განყენებულმა თეორიებმა, და სოციალურ პრობლემებს ამიტომაც ანიჭებდა გადამეტებულ მნიშვნელობას. მაგრამ მის არსებაში უთუოდ უნდა მომხდარიყო ის ფერისცვალება, რაზეც თურმე ქვეყნის ბედი ეკიდა: ჯერ ეროვნული ტკივილები იყო მოსაელელი, ჯერ საქართველოს თავისუფლება უნდა მოეპოვებინათ, ყველა სხვა პრობლემას კი მერე მიხედავდნენ. განა სოციალური უთანხმოება აღარ აღელვებდა, უბრალოდ მას

გაგრძელება №1-8 გვ.

მეშვიდე გვერდიდან

უკვე თავისი ადგილი მიენიჭა: შედარებით მეორე რანგისა.

სოციალ-დემოკრატები ბრალს რომ სდებდნენ ილიას, მისმა მსოფლმხედველობამ ევოლუცია განიცადა და სრულიად შეტრიალდაო, ამ შემთხვევაში განა ცილსა სწამებდნენ. ეს ევოლუცია აშკარაა, ოღონდ ეგ არის, ამ მკვეთრ მსოფლმხედველობრივ ცვლილებას მორალურ დანაშაულად და ჭეშმარიტების ღალატად უთვლიდნენ, ნაცვლად იმისა, მიმხვდარიყვნენ, რომ ილიამ სწორედ მაშინ ჰპოვა სრულყოფად ჭეშმარიტი იდეალი.

არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობის დასაწყისიც ასევე იყო დაღდასმული განყენებული და რევოლუციური იდეების გავლენით; და მის პირველ პუბლიკაციებს ამიტომაც გამოეხმაურა ასე მწვავედ ილია ჭავჭავაძე. ამ სტატიების ავტორში კიდევ ერთი დაბნეული ყმაწვილკაცი შეიცნო და მისას ვეღარაფერს იწამებდა. მაგრამ არჩილ ჯორჯაძის არსებაშიც მალე უნდა მომხდარიყო დიდი შემობრუნება და მისი ფერნაცვალი სულიც უნდა ზიარებოდა ეროვნულ ტკივილებს, როგორც ამაღლებულ განცდასა და ჭეშმარიტ ღირებულებას.

ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობამაც ასეთივე ფერისცვალება განიცადა.

ჯერ კი ამ წიგნაკის დაწერისას პეტერბურგული სამზერიდან უყურებდა პატარა ქვეყნის მღელვარე ცნობიერებას: ოღონდ არაფრისიდიდებით ავადმყოფურს. და თუკი ქართველი საზოგადოებრიობა წარსულში ეძიებდა ნუგეშსა და შველას, არა იმიტომ, თითქოს მხოლოდ შელახული გრძნობის დაკმაყოფილებას კმარობდა და მოქმედებაზე აღარ ფიქრობდა, არამედ მოქმედებისათვის ესაჭიროებოდა გარდასულ სურათთა და სახელთა აღდგენა, რათა ზნეობრივ მაგალითთა შემწეობით მხნეობა განემტკიცებინა და ყოველნაირად ეცადა დიდი კულტურულ ტრადიციათა ღირსეული მემკვიდრე ყოფილიყო. ამ ტრადიციის მონაწილე თავისთავად ვერავინ გახდება, თუკი თავგადაკლული გარჯით არ მოიპოვებს უფლებას განაგრძოს ის გზა, სადაც მისი მამა-პაპანი შერერდნენ.

განა ცხოვრება თვითონ იაკობ გოგებაშვილისა - ვინც ჯავახიშვილის წიგნაკის მიხედვით ჩამორჩენილ და შემცდარ პიროვნებად წარმოგვიდგება - დაუმცხრალი და შეუპოვარი მოქმედება არ იყო? განა მარტოდენ ცრემლიანი თვალებით შესცქეროდა წარსულს და სულიერების გადარჩენისათვის თავგანწირვით არ იბრძოდა? მაშ რა არის ის ჯამორჩენილი ღვაწლი, რაც ქართული სკოლის, ქართული ენის გამოხსნას დასდო რუსიფიკატორული მორევიდან?

ბუნებრივია, რომ ეს გამორჩეული ღვაწლი არ არის გათვალისწინებული წიგნაკში, თორემ იმის თქმას მოერიდებოდნენ: იაკობ გოგებაშვილის შეხედულებანი დედა-ენის დიდ მნიშვნელობაზე ნაკლები საბუთიანობით და სიცხადით არის გამოთქმული, ვიდრე უცხოურ თხზულებებში ამოეკითხავთო.

ჩვენი პედაგოგიკის მამამთავარი ეყრდნობოდა იმ უცხოურ თეორიებს, და თუმც განსაკუთრებული სიახლე არ შეუტანია პედაგოგიური მოძღვრების ისტორიაში, მისი დამსახურება ისაა, რომ ამ მართებულ მოსაზრებებს შეასხა ხორცი ქართულ რეალობაში და სკოლიდან განდევნილი ქართული ენა კვლავ დაუბრუნა სასწავლებლის კედლებს.

იმ სამზერიდან, საიდანაც ეს არ ჩანდა, ცხადია, ნიკო მარის ცალკეულ ტენდენციურ შეხედულებებს დაეჭვებით ვერ განსჯიდნენ.

ეს ეჭვი და მძაფრი კრიტიკული პათოსი მხოლოდ მაშინ გაუღვივდა ივანე ჯავახიშვილს მარის მიმართ, როცა ქართულ გარემოს დაუბრუნდა და სამყაროსა და კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენებს თბილისიდან შეხედა. ერის მფეთქავ ნერვში მოქცეულმა ნათლად შეიგრძნო, რომ ნიკო მარის დაპირისპირება ქართული ენის დაარსების მოსურნეებთან გამოწვეული იყო არა მეცნიერული ინტერესებით, არამედ - იმპერიული.

ამიტომაც არ მოერიდა მასთან შეჯახებას.

როგორც პირუთვნელ მკვლევარს შეშვენის, ივანე ჯავახიშვილს არც იმხანად და არც არასოდეს არ დაუმცირებია ნიკო მარის მეცნიერული ღვაწლი საერთოდ და, კერძოდ, ქართველოლოგიაში, მაგრამ მის თვალში უკვე საბოლოოდ გაშიშვლდა მოჩვენებითი ობიექტურობა მარის იმ მოსაზრებებისა, რასაც თვითონვე ასეთი თავგამოდებით იცავდა „მამულიშვილობასა და მეცნიერებაში“.

ის, რასაც რუსული შოვინიზმისა და სომხური ნაციონალიზმის გავლენა ჰკვეთავდა, ჭეშმარიტების ძიების გამოხატულება რანაირად იქნებოდა!.. ამიტომაც არ დაადასტურა შემდგომმა მეცნიერულმა კვლევამ ქართული ბიბლიის სომხური წარმომავლობა თუ „ამირანდარეჯანიანის“ სპარსული დედნის არსებობა... არც სხვა მსგავსი მოსაზრებანი, რასაც ასეთი დაბეჯითებით გამოთქვამდა პეტერბურგელი სწავლული.

რაც შეეხება „ევფხისტყაოსანს“, საგულისხმოა, რომ წლების მერე ივანე ჯავახიშვილს გახსენებაც აღარ უნდოდა, რომ ერთ დროს გამართლებულად მიაჩნდა მარის დაუსაბუთებელი განცხადება მისი პირველწყაროს პოეზის თაობაზე. ახლა კი დაბეჯითებით ემხრობოდა ვახტანგ VI-ის ცნობილ ფრაზას - „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება“ - და ირწმუნებოდა: დედნის ძიების უნაყოფობა და ამაობა ნათელყოფს, რომ რუსთველს უცხოური ნაწარმოები კი არ გაუელქსავს, არამედ ამბავიც თვითონ შეუთხზავსო.



მარადიული ჭიდილის ანარეკლი

გამოსარჩლებითი, ადვოკატური ისტორიის მოთხოვნასაც უკვე სხვა თვალით შეხედავდა. თუმც ამის თაობაზე აზრი აღარასოდეს გამოუთქვამს, მაგრამ საფიქრებელია, რომ უკიდურესი სიმკაცრით აღარ განსჯიდა და საზიანოდ აღარ მოიხსენიებდა.

იაკობ გოგებაშვილის ისტორიის შელამაზებასა და გაყალბებას კი არ ამართლებდა, ანკი როგორ გაამართლებდა, არამედ იმპერიული პოლიტიკის შემოტევების დროს ზოგიერთი ტაქტიკური მანევრის, ერთგვარი პუბლიცისტური გამძაფრების აუცილებლობას ამტკიცებდა.

თანადროული საზოგადოებრივი ყოფისა და პოლიტიკურ მოვლენათა სიღრმის, მოსალოდნელი საშიშროების შეცნობა ძალდაუტანებლად უბიძგებდა ჩვენს ეროვნულ მოღვაწეებს, გამოეძებნათ ისეთი რეალიები ჩვენს წარსულშიც და თუნდ თავისებურ გადასხვაფერებასაც არ მორიდებოდნენ, თუკი ზეეთიკური საზომები გამართლებდა მათ საქციელს.

ბედისწერის სიავე რომ არა, მისხალსაც არაენ მოაკლებდა ჭეშმარიტ ისტორიულ რეალობას, მაგრამ ცოტა სხვაგვარად განისჯება გილიოტინაზე კისერწაწდილი ერის ცნობიერება: იქ არეკლილი განცდები და ფიქრები.

იმ წიგნაკის წერისას ივანე ჯავახიშვილს არც ის ეჭაშნიკებოდა, ჩვენი მოღვაწენი იმ აზრის დამკვიდრებას რომ ცდილობდნენ: წოდებათა შორის საქართველოში ყოველთვის მამაშვილური განწყობა არსებობდაო. მის თვალში ეს სრულ სიყალბედ გამოიყურებოდა, უკეთეს შემთხვევაში - გულუბრყვილო ახირებად, რადგან ჩვენი ისტორიული სინამდვილის შესწავლას მისთვის სხვა სურათი გადაეშალა: საქართველოს წარსული დიაღაც წოდებრივი ბრძოლის მაგალითებით არის სავსეო. ასეთი გულმოსულობა იმას გამოეწვია, რომ ვერ ეპატიებინა, ყოველად აშკარა რეალობას რა უფლებით მალავდნენ და ხალხს საპირისპიროს უმტკიცებდნენ.

ყველაზე მკვეთრად ეს იდეა აკაკი წერეთლის პუბლიცისტურ სტატიებს გასდევს, იგი იხიარებდა ალექსანდრე ორბელიანის ამ თეორიას და XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ყველაზე თავგამოდებით ირწმუნებოდა ისტორიულ საქართველოში წოდებათა შორის მამაშვილური ურთიერთობის არსებობას; და ამიტომაც ივანე ჯავახიშვილის პოლემიკური მახვილი უპირველესად მისკენ არის მიმართული, თუმც კი აკაკის სახელის ხსენებას ერიდება.

ნუთუ აკაკი წერეთლისათვის უცნობი იყო ის ისტორიული მაგალითები წოდებათა ბრძოლისა?

თუ ისტორიული სინამდვილის შელამაზება ერჩიენა?

არა, აკაკის დაცემული ზნეობის აღდგენა დაესახა თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობის მიზნადაც და, რაკიღა წოდებათა გადაკიდება წამხდარი მორალის გამოვლენად მიაჩნდა, შეურიგებელი დაპირისპირების ნაცვლად მათ შორის ხიდის გადებას ამიტომაც ფიქრობდა.

ჩატეხილი ხიდის გამრთელებისაკენ სწრაფვა მისი საზრუნაველიც ისევე შეიქმნა, როგორც ილია ჭავჭავაძისა.

ქართული გარემო კი სულ უფრო და უფრო ეხეოდა მარქსისტული პროპაგანდის ქსელში, და ანტიბუნებრივი ნაკადი სულ უფრო იკრებდა ძალას. კოსმოპოლიტური იდეებით ცდუნებული და დაბნეული ახალთაობა, უმთავრესად მესამედასელები, რუსულ რევოლუციურ წრეებს რომ დაუახლოვდა, იმპერიული პოლიტიკის ნებაყოფლობით აღმსრულებლად იქცა და მიზანდასახულად გამოიწვია თავადაზნაურობის უღმერთო ულტა.

ჯერ ამ აზრს უნერგავდა და აქეზებდა ხალხს.

აკაკი წერეთელი მხოლოდ დიდი პოეტი არ ყოფილა, იგი დიდი პოლიტიკოსიც გახლდათ და მესამედასელთა უმწიფარ და ცრუქადაგებებში ამიტომაც განჭვრიტა შეუმცდარად ულტის გარდუვალობა. განჭვრიტა და თავიდანვე დაუპირისპირდა საშიშ თეორიებსა და იდეებს სიკეთის, შერიგების, მიტევების ქადაგებით.

პროლეტარიატი საერთოდ არ არსებობდა ჩვენში და მესამედასელნი კი დაეინებით ირწმუნებოდნენ მათ ტანჯვასა და უუფლებობას, მათ გადასარჩენად კი საძულველი წოდების მოსპობის აუცილებლობას.

და ასეთ დროს, მიზანდასახული იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ განა დაიძრახება ზოგიერთი ისტორიული რეალიის ცვლილება? ბოლოსდაბოლოს, წოდებათა შორის მამაშვილური ურთიერთობის არსებობის მტკიცება აკაკის ხომ იმისათვის სჭირდებოდა, ცხოვრების ეს წესი იდეალად დაესახა და რეალური გზა ეძია შერიგებისაკენ?

სიძულვილის ნაცვლად სიყვარული.

შეუთანხმებლობის ნაცვლად ურთიერთთანადგომა.

და განა გამართლებული არ არის ღვთისა და ერის წინაშე ყოველი ისეთი იდეის გადმოსროლა ხალხში, რაც ულტის არიდებას ეცდება?

უკეთესი ზეეთიკური მიზანი რა შეიძლება არსებობდეს?

უკეთესი ჭეშმარიტება რა შეიძლება იყოს?

ამ ფონზე ვითომ ისეთ ჭეშმარიტების გამოდენებად ჩანს ის ფრაზა, საქართველოს წარსული დიაღაც წოდებრივი ბრძოლის მაგალითებით არის სავსეო? და ეს 1904 წელს. ვითომ გამართლებული იქნებოდა იმ მაგალითების ამოკრება და ერთად თავმოყრა ამ თეზისის დასტურად? არა და არა, ეს ის შეცდომა იქნებოდა, რის საშიშროებასაც ივანე ჯავახიშვილი მაშინ ვერ ამჩნევდა, შემდგომ კი არაფრისიდიდებით აღარ მოუვიდოდა, რადგან უკვე ნათელი შეიქნა მისთვის, თუ რა უკეღმართად შეიძლება გამოიყენონ მეცნიერული დაკვირვებანი თუ დასკვნები.

აი, ასეთი უმწვავესი გარემოებანი ამართლებს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ისტორიის მოთხოვნას, გარემოებანი, რასაც იმპერიული პოლიტიკა არასოდეს მოგაკლებს და იძულებულს გხდის ჭიდილში ჩაბმულმა ხან პუბლიცისტურ გადახვევებში ეძიო გამოსავალი.

ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა არ არის სწორხაზობრივი მოვლენა; არც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი დოგმატია. არც მეცნიერული ძიებანია თვითკმარი და განყენებული მოვლენა, ყოველდღიურობას განრიდებული: გარეგნული სიზუსტე ამიტომაც შეიძლება აღმოჩნდეს ხოლმე მოჩვენებითი... და ამ რეალობის შეცნობამ გამოიწვია ჩვენი დიდებული ისტორიკოსის არსებაში ის ფერისცვალება, ასეთი მონუმენტურობით რომ წარმოგვიდგება მისი სახება ქართული სულიერების გადამრჩენთა შორის.

განა ილიას ერთ შეხედულებასთან ფარული გამოპასუხების პერიპეტიებიც თვალსაჩინოდ არ გვიმჟღავნებს ივანე ჯავახიშვილის ამ შინაგან ევოლუციას?

გაიხსენეთ თამაზ ნატროშვილის სტატია „ბუმბერაზთა გაკვეთილი“ („დრონი“, 1992, 23 მაისი), სადაც ეს საგულისხმო რეალია საგანგებოდაა განსჯილი.

ნაროდნიკმა ივანე ჯავახიშვილმა ნიჰილისტური წერილები რომ გამოაქვეყნა საქართველოზე პეტერბურგის ერთ-ერთ ჟურნალში, ჩვენს საძრახის ეროვნულ თვისებათა ნიმუშად მატიანის ის პასაჟიც გაიხსენა: ლაშაგიორგის დაბადების აღსანიშნავად ქართველებმა ყარსზე რომ გაილაშქრეს უფლისწულის ბედის გამოსაცდელად და ტყუილუბრალოდ აუარებელი სისხლი დაღვარეს.

ილია ჭავჭავაძემ აკი ასეთი შეფასება იმ მოვლენისა (როგორც ნიჰილისტის ყველა სხვა მოსაზრებანი) მეტად ტენდენციურად მიიჩნია და ის ისტორიული ეპიზოდი ასე ახსნა: სომხეთის სამეფოს შემუსვრამ საქართველოს სამხრეთ საზღვრები ღია დატოვა და ეს ლაშქრობა პოლიტიკურმა აუცილებლობამ გამოიწვია, იმ მიწა-წყლის გამაგრებისა და შემომტკიცების წადილმაო.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილმა არ გაიზიარა ასეთი ახსნა და, თუმც ილიას სახელის ხსენებას მოერიდა, 1914 წელს გამოცემულ „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში ბრალი დასდო ქართულ ლაშქარს აგრესიაში: ტყუილუბრალოდ გამოიწვიეს მეზობელთა სიძულვილი და მეტად გაამწვავეს მაჰმადიანებთან ურთიერთობა; და შეტრიალდა თუ არა ქართველთა ბედის ჩარხი და მაჰმადიანურ ქვეყნებს მძლავრი მფარველი მოეელინათ ჯალალედინის სახით, მყისვე ამიტომაც ამოუდგნენ მხარში ისლამის მედროშესო.

აშკარაა: თავ-თავისი სიმართლე ორივე მოღვაწის არგუმენტებს აქვს.

აუცილებელი იყო ზრუნვა საქართველოს სამეფოს საზღვრების გამაგრებაზე. მაგრამ ცალკეული მეთოდები ქვეყნისათვის უშიშროების მოსახვეჭად კრიტიკულ შეფასებას იწვევდა.

განა ილია ჭავჭავაძე ვერ ხედავდა ამ ხინჯსა თუ ზადს ქართველთა მოქმედებაში?

თუ ისტორიული სინამდვილის შელამაზება ერჩიენა და ამიტომაც მოარიდა მზერა?

არა, ილიას შეფასებით, ზოგადი იდეის სიმართლე თავისთავად ჩრდილავდა იმ ცალკეულ ხინჯსა თუ ზადს, მითუმეტეს, მატიანის ის ცნობა ასეთი მიკერძოებით წარმოეჩინათ: ქართველობის სახელის გასატეხად, მისი წარსულის გასაბიაბრუებლად... და კიდევ: ჩვენს მიმართ რუსული ექსპანსიის გასამართლებლად.

თავისუფალ ქვეყანაში ილია ჭავჭავაძე ზოგადი იდეის აღნიშნასთან ერთად იმ ზადსაც უთუოდ გაიხსენებდა, მაგრამ უკეღმართი და მიზანდასახული პროპაგანდის წინააღმდეგ სწორედ ის პასუხი სჯობდა, რასაც მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილიც მოიწონებს.

ილიას დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე მან საგანგებოდ მოიგონა ილიას ის პოლემიკური მსჯელობა ქართველების ყარსზე გალაშქრებასთან დაკავშირებით, მაგრამ არც შეკამათებია და აღარც ის გაუხსენებია, რომ ოდესღაც პეტერბურგელი ნიჰილისტის პოზიცია უფრო მართებული ეგონა, ვიდრე ქართული საზოგადოებრივი აზრის საჭეთმპყრობელისა.

ივანე ჯავახიშვილის წიგნაკში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ გამოთქმული დევიზი, რომ: „ყოველ განათლებულ ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოუპოვებია, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავის წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“ - ის იდეალია, რისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყველა ისტორიკოსი, თუკი შეცნობილი აქვს თავისი ზნეობრივი მოვალეობა მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე; მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ზეეთიკური მიზანი ამართლებს მატიანის ჩვენებათა თავისებურ ახსნასა და იქნებ სახეცვლილებასაც. და ნეტა იმ ქვეყნის ცხოვრებას, სადაც ერთიბეწო არაფრის შეცვლა არა სჭირდებათ.

ნუ, ნურასოდეს მივიჩნევთ ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვას სწორხაზობრივ მოვლენად. და ნურც თვითონ ჭეშმარიტებას - დოგმატად.

მაშინ იაკობ გოგებაშვილისა და ივანე ჯავახიშვილის მძაფრი პაექრობის შეფასებისას უპირატესობა ველარ მიენიჭება ჩვენს დიდებულ ისტორიკოსს, ჯერ წინ რომ ედო მოღვაწეობის მთელი გზა, აღსავსე უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი და მეცნიერული მიღწევებით.

...ისე კი: კვლავაც მწვავედ გრძელდება ეროვნულ და კოსმოპოლიტურ მსოფლმხედველობათა ჭიდილი, ეს მარადიული დაპირისპირება სულიერსა და პოლიტიკურ არჩევანს შორის. და თუ მაცდურია კოსმოპოლიტური იდეები და იქნებ კიდეც აგიყოლიოს, მისგან გამოხსნის იმედიც არასოდეს მიგატოვეს.

ეს სულიერი შემობრუნება აკი თვით დიდ სახელებსაც განუცდიათ ჩვენშიც: ილია ჭავჭავაძეს, არჩილ ჯორჯაძეს, ივანე ჯავახიშვილს, რომელთაც შინაგანი ბრძოლით ჰპოვეს თავიანთი ნამდვილი სახე და ასეთი ძალით ამიტომაც აზიდეს დაცემული ქვეყნის ზნეობა, კულტურა, ბედი...

სტალინის პროსკოპი

გრიგოლ რობაქიძე

ასეთ უმამოს – თუკი უმამობა მისტიურად არ დაძლია – თავიდანვე აკლია არსებითი – სიცოცხლის სიყვარული. მას არაფერი ახარებს. მის გულს არ ძალუძს კოსმიურად ძირისძირამდე გაიხსნას. ის არ არის აალებული, ხორცშესხმული ნაწილი მისტიურად დაგლეჯილი ღმერთისა: ის ცივია, მტკიცე და პირქუში. ასეთი ადამიანისათვის არ არსებობს ექსტაზი. ასეთ უმამოს რომ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია მოესმინა – განსაკუთრებით დასასრული, სადაც მღელვარე ორკესტრში ადამიანთა ხმები ეჭრებიან, ხმები დიონისოს მიერ გაბრუებულ არსებათა, ხმები, რომლებიც სხვა სიცოცხლეს, ახალს, ადამიანურს თუ ზეადამიანურს აცხადებენ – ის მაინც ვერ გახლეჩდა თავის ვიწრო ნაჭუჭს, რათა უნაპირო სინამდვილეს შეერთებოდა. ის ცივი, მტკიცე და პირქუში დარჩებოდა. თვითონ უექსტაზოს სხვისი ექსტაზის ატანა არ შეუძლია – სხვისი ექსტაზი მას არ ითრევს, ის ლამის ნამდვილი უსიამოვნებაა მისთვის. ასეთი არსება თავიდანვე საკლოვანია და საფრთხე ემუქრება. თქმულება კაენსა და აბელზე მიუდგებოდა სტალინს – ღმერთმა მიიღო აბელის მიერ შეწირული მსხვერპლი და პირი იბრუნა კაენის მსხვერპლისაგან. რატომ? თქმულება არაფითარ ახსნას არ იძლევა. იქნებ კაენს გულით არ მიუტანია მსხვერპლი? იქნებ სურდა კიდეც გულით მიეტანა, მაგრამ სურვილზე შორს ვერ წავიდა. ერთადერთი ახსნაღა გვრჩება: ჩანს, კაენს თავიდანვე აკლდა სიცოცხლის მადლი. მოსეს პირველი წიგნის ფურცლები ალგეიძრავენ ამ ეჭვს: განა აბელი კი ჩაიდენდა ძმის მკვლელობას, იაჰვეს რომ მისი მსხვერპლი არ მიეღო? კეთილ სწრაფვათათვის ამის გულია დახურული, ვისაც სიცოცხლის მადლი აკლია. ეს ყველაფერი ფარულად და იქნებ გაავებითაც კი ადრევე უნდა ეგრძნო სოსო ჯუღაშვილს, როცა, მაგალითად, ერთხელ ავადმყოფი თანაკლასელი ინახულა. ის გულითადად ესაუბრა ამხანაგს, მაგრამ მისი სიტყვები ავადმყოფის გულს არ ხვდება. მოდის მეორე სტუმარი, მეორე ამხანაგი, რომელიც ალერსიანად შუბლზე ხელს გადაუსვამს ავადმყოფს – და ტკივილი ცხრება. ეს ღვთიური ძალა სიცოცხლის მადლია. როგორ ამბობს გრეტხენი? – მისი სიახლოვე სულს მიხუთავსო. როგორც კი ის – მეფისტოფელი მოგვიახლოვდება, მეჩვენება, რომ აღარც კი მიყვარხარო. გრეტხენის წრფელი გული რაღაცას გრძნობს: მეფისტოფელის ახლომახლო ყოფნაც კი საკმარისია სიყვარულის მოსასპობად, ატმოსფეროს მოსაწამლად. მას დირიჟორობა აკლია. მას იქნებ უფრო მშვენიერი ლექსებიც კი დაეწერა, ვიდრე რაინერ მარია რილკეს – მაგრამ ერთი რამ მიუწვეველი დარჩებოდა ამ ლექსებში: ამოუცნობი პოეტური ფიქინარება, ასე მადლიანად რომ მთბრწყინავს რილკეს სიტყვებიდან. აქ შეჩვენებაა დამალული. პოეტურ ზარხოშს არასოდეს აუჩქროლებია სტალინის გული, თუმცა მოწაფეობისას საეპისკოპოსო გუნდში აბრეშუმივიფრილი ალტით გალობდა. ეს უფუოდ დაცემული ანგელოზის ხმა იყო – ასეთ ანგელოზს ჯერ კიდევ ძალუძს მომაჯადოებლად გალობა. სტალინმა ლექსების თხზვაც კი სცადა – შესაძლოა, პატრიოტულისა – მაგრამ იმავე დროს ესპერანტოსაც სწავლობდა: უკვე მაშინ სწამდა მსოფლიო ენისა, ცხადია, მექანიკურად შეკოწიწებულისა. აშკარად სტანჯავდა სამყაროს ორგანული მრავალფეროვნება. მეტიც: თვით სიცოცხლის ატანა არ შეეძლო. მკრეხელურად ოცნებობდა ნგრევაზე, რათა თავისი გამანადგურებელი თვითნებობა გამოეცადა და გაეტარებინა.

ნიჰილიზმი ზედგამოჭრილი იყო საამისოდ. ვლადიმერ სოლოვიოვმა ერთ ირონიულ წინადადებაში შეაჯამა რუსეთის ნიჰილისტური ინტელიგენციის ღვაწლი: ადამიანი მაიმუნისგანაა წარმოშობილი, მაშასადამე, გაუმარჯოს თავისუფლებას! „მაშასადამე“ აქ უაზრობაა: ძნელი დასაჯერებელია, რომ მაიმუნისაგან წარმომავლობას ადამიანისათვის თავისუფლების მიცემა შეეძლოს. მაგრამ ლოგიკას ხშირად მოულოდნელად თავს ესხმის ფსიქოლოგია, და ამ სილოგიზმშიც უთუოდ ფსიქოლოგიური ალღო იყო ჩადებული. თუ დამტკიცდებოდა, რომ ადამიანი მაიმუნის მოდგმისაა, მაშინ თვით რჩეულნიც კი ყოველგვარ ხიბლს დაკარგავდნენ. ნაპოლეონი „ვინმეზე“ უფრო არაჩვეულებრივი ალარაფრით იქნებოდა, ხოლო კლეოპატრა – არაფრით მეტი, ვიდრე ნებისმიერი ქალი. ხიბლთან ერთად მოწიწებაც გაქრებოდა. ასე ფიქრობდა ნიჰილისტი. მაგრამ უფრო ღრმად აქ სხვა აზრიც იყო დაფარული. თუ ადამიანი არსებითად იგივეა, რაც მაიმუნი, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა გაშიშვლება შესაქმის მცდარი მოძღვრებისა, თითქოს ადამიანი ღვთის ხატი იყოს, და, მაშასადამე, ღვთის ხატისა და მსგავსების დამხობა. ნიჰილისტების განზრახვას მტკიცე საფუძველი არ ჰქონდა; მით უფრო ჯიუტად ეჭიდებოდნენ მას.

სტალინიც მოექცა ნიჰილისტების გავლენის ქვეშ და გატაცებით შეუდგა ბუნების მეცნიერებათა შესწავლას. ღრმად სწამდა, რომ ეს შტუდიები ულმერთობამდე მიიყვანდნენ. არსებითი ეს იყო: თუ ღმერთი მოკვდებოდა, თავისუფლებას მოიპოვებდნენ. იგი ვერ მიხვდა, რომ ღმერთისაგან მოწყვეტილ, უღმერთო ადამიანს ღმერთთან ერთად იმავე დროს სამყაროსთანაც უნდა გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი. შესაძლოა, ქვეცნობიერად სტალინს სწორედ ეს სურდა. თუ დაირღვეოდა საკრალური კავშირი სანგნებს შორის, მაშინ თვითონ სიცოცხლე აღმოჩნდებოდა საფრთხეში. ის, ვისაც სიცოცხლე თავიდანვე სტანჯავდა, ანგარიშში არ ცდებოდა.

მას ჰქონდა კარგი მესსიერება – არა მახსოვრობა! – ძლიერი, ცივი ლოგიკა. ის დაშორდა ღმერთს და თავაშვებულ თვითმმართველად აღზარდა თავი. ის ყველგან ცუდს ხედავდა, და სადაც კეთილს შეხვდებოდა, დამცინავად იღიმებოდა. ციესისხლიანი სასტიკად უმოწყალო გახდა. ერთხელ ერთ შუკაში წიწილას ფეხი დააბიჯაო, ჰყვებიან. წიწილას ცალი ფეხი მოსტყდა და წივილით გაფრთხიალდა. სტალინი დაეწია და მთლად გასრისა. „შენ მაინც აღარ ივარგებ“, დაიყვირა უცნაური მრისხანებით. ამ წამს იქნებ სულ სხვა, საშიშად უცხო სახე ჰქონდა.

სიცოცხლის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და ყველგან მტრები ელანდებოდა. მტრის დასაძლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაჭერა და ირონია. სტალინის თავდაჭერა იოგებისას ჰგავდა, ხოლო მისი ირონია უბადლო იყო. ნელა, გაუნძრეველად, გულგრილად აღიზიანებდა იგი მოწინააღმდეგეს, აქეზებდა, დასცინოდა, წყობიდან გამოჰყავდა. ის ცილისწამებითა და დამცირებით სპობდა თავის მტრებს. ამაში უმოწყალო და სასტიკი იყო. მისი ცივი ჭიხვინა ჩაცინება ხანდახან მკაცრ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიცილში გადადიოდა. იყო თუ არა ბოროტი ჩვეულებრივი აზრით? არა. ის არ ყოფილა მკვლელი, არც ყაჩაღი, არც არანაირი დამნაშავე. პირიქით: საკეთესო სურდა ადამიანებისათვის – და მაინც: მის ხასიათში იმთავითვე რაღაც უცხო გვარის ბოროტი თესლი ბუდობდა. იქნებ პირად სიამოვნებას მიელტვოდა? სულაც არა. მიწიერი სიამოვნებანი – ქალი, ღვინო, აზარტული თამაში, ფული – არ არსებობდა მისთვის. ნიშნეულია, რომ ქართულ ლხინში, სადაც მუდამ დიონისეს ადიდებენ, როცა ყველა სხვა თვრებოდა, ის ერთადერთი, ფხიზელი რჩებოდა. ის გულუხვი იყო, რამდენადაც კი შეეძლო ასეთი ყოფილიყო, და დახმარებისთვის მუდამ მზად იყო, ვითარცა სულიერი მოძღვარი და მაინც არავისთან იყო ახლო. არ ჰყოლია არც ერთი მეგობარი, რადგან ასეთი ვინმე – მეგობარიც რომ ყოფილიყო – სამუდამოდ მის ქვეშევრდომად უნდა დარჩენილიყო. შესაძლოა, ეს გულის სიღრმეში აწუხებდა კიდეც. შეიძლება ხანდახან თრგუნავდა საკუთარი ხასიათი. ასეთ წუთებში იქნებ ღრმა კაეშანი იპყრობდა. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს კაეშანი თუნდაც ერთი წამით სხვებისთვის გაემხილა. მუდამ რაღაც ხელს უშლიდა გული გაეხსნა.

ძველ სამყაროს უკვე დაემშვიდობა. მისთვის აღარ არსებობდა არც სისხლის ერთობა, არც ხალხი, არც სულიერი კავშირი, არც რწმენა. ხალხი მასამ შეცვალა, სული – კლასმა. აქ თავის სტიქიაში იყო. სოციალისტური იდეის შესათვისებლად სავსებით იყო მომწიფებული. სენსიმონის და ფურიეს მოძღვრება მის გულს არ ეკარებოდა, რადგან უტოპიისა და რომანტიკისაკენ მიდრეკილება არასოდეს განუცდია: მარქსის დოქტრინა კი კაკალ გულში მოხვდა მის არსებას: აქ იყო ლოგიკა და სიმტკიცე და არა უხერხემლობა მისი მენშევიკური ნაირსახეობისა. სტალინი ბოლშევიკად იყო დაბადებული. უწინ უყვარდათ თქმა, მავანი და მავანი წინაქრისტიანული ქრისტიანი იყო. სტალინისათვის შეიძლებოდა ბოლშევიზმამდელი ბოლშევიკი გვეწოდებინა. იმდროინდელი რუსეთიდან არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა საქართველოშიც მოდიოდა; ერთბაშად ლენინის თხზულებებიც გამოჩნდა. სტალინი დატყვევდა: მანამდე არყოფილი ღრმა განცდა დაეუფლა – საკუთარი თავის პოვნისა, ოღონდ სხვაში. აი, სად იყო ის, რისკენაც სტალინი თავისი ბნელი ინსტიქტის ცეცებით მიისწრაფოდა: მარქსისტული იდეის დემონიზმი. რაც დასავლეთში „სიტყვა“ იყო, რუსეთში „საქმედ“ უნდა ქცეულიყო. მაგრამ ეს გარდაქცევა ცოფიანი გრიგალივით უნდა შემოვარდნილიყო სამყაროში, რომლის საფუძვლები უკვე მოერყია ომს.

ლენინი გამოჩნდა ვითარცა მუშტადქცეული ენერგია ქარიშხალისა. როცა თავის ამხანაგებთან ერთად დაჯავშნული მატარებლით გერმანია გადმოკვეთა, რათა რუსეთში რევოლუციური ცეცხლი დაენთო, კაცობრიობამ არ უწყოდა, თუ რა ვულკანურმა ძალებმა მოიყარეს აქ თავი. ლენინი მოეელინა რუსეთს როგორც რევოლუციის ბედისწერა, ის გახდა კოსმიური ბიძგის მიმცემი ოქტომბრის ნგრევისა. ორი სტიქია იყო მასში: სლავური და მონგოლური; სლავური: ქაოსის სუნთქვა, უარყოფა ყოველგვარ საზღვრის. მონგოლური: შინაგანი კრულვა და შორეული გაქანება. ინსტინქტი და ნება ერთი იყო ლენინში. დიდოსტატი დასტაქრის თანშობილი თვისებები ჰქონდა: სწორი, უცთომელი თვალზომა; ინტუიცია, რომელიც საგნის შუაგულს ხვდება; თავდაჭერა, ოღონდ არა ცივი, არამედ ცეცხლოვანი; შეუმცდარად მტკიცე ხელი. ამას მასთან შეხვედრისთანავე გრძნობდა ყველა. სტალინმა ეს მასთან შეხვედრამდე იგრძნო.

1903 წელს ლენინის წერილი მიიღო ევროპიდან. მისთვის ეს მოსეს ფილების მიღებასაეთ იყო. 1905 წელს სტალინი ფინეთში პარტიულ კონფერენციაზე შეხვდა ლენინს. დიდმა რევოლუციონერმა დუმილისმოყვარე ქართველში სანდო მებრძოლი ცნო. 1906 წელს ჩატარდა ყრილობა სტოკჰოლმში, სადაც ბოლშევიკებმა მარცხი განიცადეს. მაგრამ როგორ მიიღო ლენინმა ეს მარცხი: „არ დაღონდეთ, მეგობრებო, ჩვენ უთუოდ გაიმარჯვებთ, ჩვენ სწორ გზას ვადგავართ“. მის თანამოაზრეთა შორის სტალინი იყო ერთადერთი, ვინც მხოლოდ ყურით არ მოისმინა ეს სიტყვები. 1907 წელს ლონდონის ყრილობაზე ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. მაგრამ როგორ მიიღო ლენინმა ეს გამარჯვება? სტალინი მოგვიანებით იხსენებდა: „გამარჯვების შემდეგ ის განსაკუთრებით ფხიზელი და ფრთხილი გახდა“ – და მოჰყავდა ლენინის სიტყვები: „ჯერ ერთი, არ გაგიტაცოთ გამარჯვებამ და კვეხნა არ დაიწყოთ; მეორე, განამტკიცეთ თქვენი გამარჯვება; მესამე, გაანადგურეთ მტერი, რადგან ის მხოლოდ დამარცხებულია და არა მკვდარი“. ყველაზე მეტად ამ სიტყვებს უნდა მოეხიბლა სტალინი, რომლისთვისაც გამარჯვებას თავბრუ არასოდეს დაუხვევია და რომელსაც ბრძოლის ველზე არასოდეს მანამ არ მიუტოვებია დამარცხებული მტერი, სანამ მთლად არ მოათავებდა. სხდომებზე სიტყვაძუნწი იყო სტალინი; დუმდა – ჭეშმარიტი საქმის კაცი.

სტალინის სტიქია მასა იყო: აი, სად იყო ნაღდი. ფინეთის კლდოვანი სანაპიროდან კოლხეთის ზღვისპირეთამდე ორგანული ერთობას გრძნობდა მასებთან. ხვდებოდა და უახლოვდებოდა რუსებს, პოლონელებს, უკრაინელებს, ასევე ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ლატვიელებს, ლიტველებს, ებრაელებს და მრავალი სხვა ხალხის წარმომადგენლებს. ის ეცნობოდა მუშათა ჯერ კიდევ მთვლემარე ფსიქიკას, სინჯავდა მასების მაჯას და მათს პროლეტარულ ინსტიქტს აღვიძებდა. ის არკვევდა მათს სურვილს და ფოლადივით აწრთობდა მათს მებრძოლ ნებას. ის ათასებს ხვდებოდა და მრავალი ათასი ნაცნობი ჰყავდა. მისთვის არ არსებობდა მეგობარი – იყო მხოლოდ უთვალავი ამხანაგი. ოხრანკას კვალს არ უტოვებდა, სამაგიეროდ მუშებში ტოვებდა წარუშლელ კვალს. აქაც ჩრდილში რჩებოდა: საიდუმლო ორგანიზაციებში ისე ჩნდებოდა, როგორც პროლეტარული ფსიქიკის იდუმალი უსახელო. გასაკვირი არაა, რომ რუსული რევოლუციის თავისებურება მან იმთავითვე იგრძნო. 1917 წელს, ივლისის ამბების შემდეგ, პარტიული კონფერენცია ტარდებოდა. ლენინი არ ესწრებოდა, რადგან იმალებოდა. არ ესწრებოდა ტროცკიც. პირველად ამ კონფერენციაზე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად. სტალინს მიჰყავდა კონფერენცია, მაშინ წარმოთქვა ისტორიული სიტყვა: „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სრულიად განსაკუთრებულად რუსეთი გახდეს ის ქვეყანა, რომელიც სოციალიზმის გზას დაადგება... ჩვენში რევოლუციის საფუძველი უფრო მყარია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც პროლეტარიატი მარტო უპირისპირდება ბურჟუაზიას. ჩვენს მუშებს მხარს უჭერს გლეხთა უღარიბესი ფენა... უნდა უკუვაგდოთ საძრახისი თვალსაზრისი, თითქოს ჩვენთვის გზის მითითება მხოლოდ ევროპას შეე-

გაგრძელება მე-12 გვ.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №116

საზღვარგარეთ

მეძავები დაზარალებული პირები არიან

შვედეთის პროსტიტუციის აკრძალვა აქვს დაგეგმილი, ამასთანავე „სექსის ყიდვა“ სისხლის სამართლის კანონებით დაისჯება.

პროსტიტუციის შესახებ კანონპროექტის თანახმად, ჯარიმა და ექვსთვიანი პატიმრობა მიესჯება არამარტო მეძავისათვის „ანაზღაურების“ მიმცემს, არამედ იმასაც, ვინც „სექსის ყიდვის“ მცდელობაში იქნება მხილებული. ამავე დროს, თვით მეძავი სამართალში მიცემული არ იქნება.

კანონპროექტის ავტორთა აზრით, მეძავები დაზარალებულნი არიან, ამიტომ მათი დასჯა პროსტიტუციისათვის მიზანშეწონილი არ არის. ადგილობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ კანონპროექტს პარლამენტში მიღების დიდი შანსი აქვს და შესაძლოა უკე 1999 წელს ძალაშიც შევიდეს. შვედეთის პოლიციას კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გაზრდის იმედი აქვს, რადგან ამ კანონის მიღებიდან მის მოვალეობებში მეძავებზე მონადირეთა დაჭერაც შეეა. (გეა)

ახალი წლის აღმნიშვნელი აღამიანი შარიათის სასამართლოს წინაშე წარსდგება

ჩეჩნეთის უზენაესმა სასამართლომ რესპუბლიკის მოსახლეობას ქრისტიანული ახალი წლის აღნიშვნა აუკრძალა. ამ მოთხოვნის უპირობო შესრულებას ჩეჩნეთის სპეც.სამსახურებისა და შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები გააკონტროლებენ.

უპირველეს ყოვლისა, შეიარაღებული ადამიანები შეამოწმებენ, რომ არცერთ სახლში პირველი იანვრისთვის არ დაიდგას ნაძვის ხე და გამორიცხული იქნას ყოველგვარი სადღესასწაულო მზადება. მოთხოვნის დამრღვევნი სერიოზულად დაისჯებიან და შარიათის სასამართლოს წინაშე წარსდგებიან. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ასეთი გადაწყვეტილება სერიოზულად არღვევს ჩეჩნეთის ქრისტიანული მოსახლეობის უფლებებს და რომ ამის შემდეგ რესპუბლიკას კიდევ უფრო მეტი წინააღმდეგობები შეექმნება მისი დამოუკიდებლობის აღიარებაში. (გეა)

შეერაინაში ჩეჩენთა ჯგუფი დაიკავეს

უკრაინაში დაიკავეს ჩეჩენთა დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელსაც სეიდ ასლახანოვი ხელმძღვანელობდა. ასლახანოვი ჩეჩნეთის ე.წ. „შავი სამყაროს“ ერთ-ერთი გავლენიანი ავტორიტეტი იყო.

კიევის მილიციის უფროსის, ანატოლი კირიენკოს თქმით, დაჯგუფებას დიდი რაოდენობით იარაღი ჩამოართვეს. როგორც მილიციის უფროსი თვლის, ჩეჩნები იარაღით ამარაგებენ თავიანთ უკრაინელ „კოლეგებს“ და გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანებს იტაცებდნენ. მილიციის გენერლის თქმით, ჩეჩნები ამჟამად ჩვენებებს აძლევენ. ამავე დროს კირიენკომ ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ უკრაინის სამართალდამცავ ორგანოებზე ზეწოლას ახდენენ რუსეთის კრიმინალური ავტორიტეტები. (გეა)

რუსები დროულად მოვიდნენ გონს

„გაზპრომის“ ხელმძღვანელმა, რემ ვიახირევმა განაცხადა, რომ რუსეთის გაზის გიგანტმა ამერიკულ ექსიმბანკთან ურთიერთობები გაწყვიტა მუშაობის მიუღებელი პირობების გამო. მისივე თქმით, ეს გარემოება გაზპრომის მუშაობის ამერიკის ბაზარზე ხელს არ შეუშლის.

„ჩვენ არ მოგვწონს ამერიკული ექსიმბანკის მუშაობის სისწრაფე და მისადმი ნდობის საკითხი. ჩვენ ახალშობილთა ასაკისა აღარ ვართ, როცა ძიძები გვესაჭიროებოდა, ახლა ჩვენ მთელი მსოფლიოს ნდობა მოვიპოვეთ და რატომ უნდა შევასრულოთ ექსიმბანკის ჩვენთვის მიუღებელი პირობები?“ – აღნიშნა ვიახირევმა. როგორც მან განაცხადა, ექსიმბანკის ხელმძღვანელებმა სათანადოდ არ შეაფასეს გაზპრომის პარტნიორული ნაბიჯები და ეს იმ დროს, როცა „გაზპრომი“ მაღალი საპროცენტო განაკვეთით იღებდა ამ ბანკიდან ფულს და ამავე დროს ისევ ამერიკული მწარმოებლებისაგან ყიდულობდა მოწყობილობას... აშშ-ში იმდენი ბანკია, რომ „გაზპრომს“ მუშაობაში პრობლემები არ შეექმნება“, – დასძინა ვიახირევმა. (გეა)

იაპონიაში კრიზისი გრძელდება

იაპონიაში აქციების კურსის მნიშვნელოვანი დაცემა დაფიქსირდა. 20.XII დილით გამართული ვაჭრობების შემდეგ ნიკეის ინდექსი, რომელიც ქვეყნის წამყვანი 225 კომპანიის ფასიანი ქაღალდების კოტირებას ასახავს, 923 პუნქტით დაეცა.

კურსის დაცემის ძირითადი ფაქტორი საკვები პროდუქტებით მოვაჭრე უმსხვილესი კომპანია „გესიოკუს“ გაკოტრება გახდა. თავის მხრივ ამ კომპანიის გაკოტრება მისი ფილიალების მიერ საინვესტიციო ოპერაციებში არასწორმა მოქმედებებმა გამოიწვია. „გესიოკუსა“ და მისი ფილიალების საერთო ვალმა 1 ტრილიონ იენს გადააჭარბა, რაც დაახლოებით 8 მილიარდი დოლარის ტოლფასია. ეს უკვე მეცხრე იაპონური ფირმაა, რომელმაც ამ ქვეყნის ეკონომიკისათვის 1997 „შავ“ საფინანსო-წელს განიცადა კრახი. ინვესტორები ვარაუდობენ, რომ გაკოტრებები კვლავაც გაგრძელდება, რის გამოც ბანკები კურსების დაცემასა და გაზრდაზე თამაშობენ. ტოკიოს საფონდო ბირჟაზე მომხდარმა კრახმა გადახაზა დროებითი წარმატება, რაც მოჰყვა მთავრობის განცხადებას მიმდინარე საფინანსო წელს გადასახადების 2 ტრილიონი იენით შემცირების შესახებ. პირველი ეიფორიის დაშოშმინების შემდეგ ინვესტორები დარწმუნდნენ, რომ ქვეყნის მთავრობის მხოლოდ ეს გადაწყვეტილება საკმარისი არ იქნება საშინაო ბაზარზე მოთხოვნილების გაფართოებისა და ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის. (გეა)

ფარახანმა ვაშინგტონი ტერორიზმში დაადანაშაულა

მუსულმანური ორგანიზაცია „ისლამის ერის“ ლიდერმა, ლუის ფარახანმა, რომელმაც მსოფლიოს 52 ქვეყანაში მოგზაურობა დაასრულა, აშშ ტერორიზმში დაადანაშაულა.

ფარახანის თქმით, ეკონომიკური სანქციები ტერორიზმის მასობრივი ფორმაა, ეს სანქციები სხვა არაფერია, თუ არა მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის წინააღმდეგაა მიმართული. როგორც მან აღნიშნა, „მტრული სახელმწიფოების“ სიაში აშშ-მ ძირითადად მუსულმანური სახელმწიფოები შეიტანა.

პრეზიდენტ ბილ ქლინთონის ადმინისტრაციას ფარახანის განცხადებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია. (გეა)

ახალ წელს ახალი პაპი ხომ არ გვეყოლება?

რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო უარი თქვა საშობაო მესაში მონაწილეობაზე, რომელიც კათოლიკეთათვის ქრისტეშობის აღნიშვნისას ყველაზე მნიშვნელოვანი საეკლესიო ღონისძიებაა.

ჩვეულებრივად რომის პაპი 24-25 დეკემბერს ღამეს საშობაო მესაში მონაწილეობდა, რის შემდეგაც შუადღემდე კიდევ სამ მესას ასრულებდა. ამჯერად კი 77 წლის პაპმა გადაწყვიტა, რომ ექიმების რჩევას დაემორჩილოს და არ მიიღოს მონაწილეობა ხანგრძლივ მესაში.

პაპის ჯანმრთელობის გაუარესების გამო ეჭვქვეშ დგება მის მიერ მომავალი წლისათვის დაგეგმილი ვიზიტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. უკვე 1998 წლის იანვრის ბოლოსათვის მას დაგეგმილი აქვს ხუთდღიანი ვიზიტი კუბაში. (გეა)

XX საუკუნის გამოჩენილ პირთა ასეული

ჟურნალ „ტაიმ“-ის მიერ გამართულ კამპანიაში, რომლის მიზანი იყო XX საუკუნის გამოჩენილ პიროვნებათა ასეულის დასახელება, ანკეტები შეივსო და ასეულიც დაკომპლექტდა.

პირველ ხუთეულში შევიდნენ:

1. რონალდ რეიგანი
2. უინსტონ ჩერჩილი
3. ფრანკლინ რუზველტი
4. ადოლფ ჰიტლერი
5. მომღერალი მადონა

მომდევნო ადგილებზე გასულ პირთა სია აღარ გრძელდება. თურქი ჟურნალისტი კი იმას განიცდის, რომ ამ ასეულში თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის ათათურქის ხსენება არ არის, თურმე ამასაც თავის მიზეზი ჰქონია. მიზეზი კი ის არის, რომ ათათურქი ბიულეტენებში სხვადასხვაგვარად არის შეტანილი: „ათათურქი“, „მუსტაფა ქემალი“ და „მუსტაფა ქემალ ათათურქი“. ამის გამო მოხდა ხმათა დანაწევრება და დიდი ათათურქი ასეულს მიღმა აღმოჩნდა. ვარაუდობენ, რომ ეს შეცდომა გამოსწორდება.

თურქული გაზეთი
Milliyet- ი 22.VIII.97
(მასალის რეზიუმე)

ფინანსები, ეკონომიკა

საქართველოს მომავალი წლის „გამჭვირვალე და რეალური“ ბიუჯეტი 1 მილიარდ 138 მილიონია მიმდინარე წელს კი ის 1 მილიარდ 18 მილიონი იყო

„ზრდის ტემპი სახეზეა“ – აცხადებს საინფორმაციო სააგენტო „ელიზი-ნიუსი“-ს დღევანდელი სტუმარი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი არონ სოხაძე.

და კიდევ:

მომავალი წლის ბიუჯეტში მთლიანად რესპუბლიკაში საპენსიო ფონდისათვის გათვლილია 200 მილიონი ლარი.

„უმწეოთა სიებს შრომისა და დასაქმების სამინისტრო და შრომის ბირჟა ადგენს. თავგამოდებით ვერ დავიცავ პოზიციას, რომ სადღაც დარღვევა არ იყოს ან არ ეხვდებოდეთ საკითხისადმი სუბიექტური მიდგომის შემთხვევებს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ 9 ლარი არ არის ის თანხა, რომლის გამოც კაცმა ნამუსი უნდა შეირცხვინოს“ – უთხრა გუშინ სააგენტო „ელიზი-ნიუსი“-ს კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსმა არონ სოხაძემ. მისივე თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში მთლიანად რესპუბლიკაში საპენსიო ფონდისთვის გათვლილია 200 მილიონი ლარი.

„დაზღვევულნი არა ვართ მიწერების პრაქტიკისაგან. ამიტომ მომავალი წლის ბიუჯეტში ამ მხრივ სიახლეა: თუ ადრე დახმარებისათვის საჭირო თანხის რაოდენობის დაზუსტება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პრეროგატივა იყო, რაც არ გამორიცხავდა, მსუბუქად რომ ვთქვათ, არარეალური სურათის შექმნის პერსპექტივას, ახლა გადაწყდა, რომ საპენსიო ფონდისათვის საჭირო ფული ტრანსფერის სახით გამოეყოს რაიონს, რომელიც შემდეგ მას, საჭიროებისამებრ, გაანაწილებს. (ელიზი-ნიუსი)

გაუცემელი პენსიების რაოდენობა 15-16 მილიონ ლარს შეადგენს

„1997 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდისათვის საჭირო ტრანსფერი ასი პროცენტით დავფარეთ, საკუთარი შემოსავლების გეგმა კი ვერ შესრულდა“ – უთხრა სააგენტო „ელიზი-ნიუსი“-ს კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსმა არონ სოხაძემ, რომელიც მიიჩნევს, რომ საპენსიო ფონდის შემოსავლები კვლავაც გადაუხდელ ვალად დარჩება, თუმცა მიღებულია ზომები, რომ მათი დაფარვა მომდინარე წლის ბოლომდე მოხდეს. არონ სოხაძის თქმით, მთელი საბიუჯეტო ფინანსური რესურსი 1997 წლის სოციალური ბიუჯეტის შესრულებისაკენაა მიმართული. „გაუცემელი პენსიების რაოდენობა 15-16 მილიონ ლარს შეადგენს. ეს, საშუალოდ, ორი თვის პენსიის ტოლფარდი თანხაა“ – ამბობს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი და დასძენს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში საამისოდ 6 მილიონია გათვალისწინებული. რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით გათვალისწინებულ ასიგნებებს 33 მილიონი ლარის ოდენობით, არონ სოხაძე ვარაუდობს, რომ მიმდინარე წელს მათ შესრულებას. შესაძლოა, დაახლოებით. 4-5 მილიონი დააკლდეს, თუმცა, განსაკუთრებული მცდელობის შემთხვევაში არც მათი შესრულებაა გამორიცხული. (ელიზი-ნიუსი)

ამბობენ, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი ისეთ პროფტექსასწავლებლებს აფინანსებს, რომელიც, თითქოსდა, არც არსებობს ან თუ არსებობს, არავის სჭირდება

„ადრე სამი მილიონი იყო გამოყოფილი პროფტექსასწავლებლების დასაფინანსებლად, მაგრამ არავინ კითხულობდა, რა სასწავლებლები იყო ეს. ახლა ეს სამი მილიონი დაიყო ამ ექვს პროფტექსასწავლებელზე, სადაც ზუსტად ეიცით, რამდენი კაცი სწავლობს, რამდენი – მუშაობს“ – უთხრა სააგენტო „ელიზი-ნიუსი“-ს კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსმა, არონ სოხაძემ, რომელსაც მიაჩნია, რომ ზოგადად, პროფესასწავლებლის წინააღმდეგ გამოსვლა სერიოზულ ადამიანს არ ეკადრება, მაგრამ მათი ოპტიმიზაცია რომ საჭიროა, ფაქტია ანუ, უნდა ეიცოდეთ, რა სპეციალობის კადრებს ამზადებს ესა თუ ის სასწავლებელი და რამდენად გეჭირდება ჩვენ ეს კადრები.

„არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი ასეთი სასწავლებელი თვითდაფინანსებაზე გადავიდეს ან იმ საწარმომ დააფინანსოს, რომლისთვისაც ის კადრებს ამზადებს. ჩვენ შესაბამის სტრუქტურას ვთავაზობთ მოდელს: ამ ას ექვსიდან შევარჩიოთ 15-20, ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, დაგეგმოთ და დავაფინანსოთ პერსპექტიული დარგებისათვის მოსამზადებელი კადრები“ – აცხადებს არონ სოხაძე. (ელიზი-ნიუსი)

გირჩევნიათ, კარგად ისწავლოთ – სტიპენდიას პრეზიდენტი გადაგიხდით

„სტიპენდიების ფონდისათვის მომავალი წლის ბიუჯეტში 4 მილიონამდე თანხაა გამოყოფილი უმაღლესი სასწავლებლისათვის, რომლებიც თავისი შეხედულებისამებრ, გაანაწილებენ მას“ – უთხრა სააგენტო „ელიზი-ნიუსი“-ს კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსმა არონ სოხაძემ. მისივე ინფორმაციით, ამ თანხის რაოდენობა საბიუჯეტო დაფინანსებაში სტაბილური არ არის და ყოველწლიურად მატულობს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სტიპენდიებიც იმატებს ისევე, როგორც ხელფასები და პენსიები. გარდა ამისა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტები და მოსწავლეები კვლავაც მიიღებენ პრეზიდენტის სტიპენდიებს, რომელსაც პრეზიდენტის ფონდი დააფინანსებს. (ელიზი-ნიუსი)

გაერსი და სხვა სანევროებს გადავიხდით, დანარჩენებს – მოცდა მოუნევთ

„ჩვენ დაახლოებით 134 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ვართ და თუ წინა წლებში გადაუხდელ საწევროებსაც გავითვალისწინებთ, 34 მილიონი დოლარის ვალდებულებები გვაქვს აღებული“ – უთხრა სააგენტო „ელიზი-ნიუსი“-ს კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსმა არონ სოხაძემ. მისივე ინფორმაციით, ამ მიზნით, მომავალი წლის ბიუჯეტში 4,5 მლნ დოლარის ექვივალენტია გათვალისწინებული, რომელიც, ძირითადად, გაერსა და სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების საწევროების გადასახდელადაა გათვლილი. რაც შეეხება დანარჩენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებთანაც არონ სოხაძის თქმით, კარზე დაკაკუნებით არ მივდივართ და რომლებიც, იქნებ გვეპატიჟებიან, მათი საწევროების გადახდა შეძლებისდაგვარად მოხდება, გადაუხდელობა კი საგანგაშო არ არის. (ელიზი-ნიუსი)

„ДАЧІНЕВІТ ШЕВВАВОНЕВЕВ, ТІТІТЧОС ВСОФЛІОС ЧЕЛА ВЕНІАЛЧРІ КЕЛОВАНІ, ВЕСНІЕРІ ДА ПОЛІТІКЧРІ ВОЛВАВЕ СЕЧС ЧАЛЧРІ ПАТОЛОВІТ ІЧО ДАДДАСВЧЛІ...

აკაკი ვასაძე

მესამე გვერდიდან

ისიც, რომ ამაში ქვეყნისგარეთა ძალების თანაბარ ან, სულაც, მათთან შეთანხმებულად, ქვეყნის შიდა ძალებიც მონაწილეობენ. ფაქტები მეტყველებენ, რომ ქართული ცნობიერების მორღვევას არა მარტო გაუცნობიერებელ-შეუგნებელი, არამედ გაცნობიერებულ-შეგნებული ანუ მართვადი ხასიათიც აქვს. შეგნებული ხასიათი აქვს ათეული წლების მანძილზე საზოგადოებრივი თუ შრომითი ცხოვრების ასპარეზზე უეიც-უსჯულოების აღზევებას და მხარდაჭერას; შეგნებული ხასიათი აქვს ქართველი კაცის გამათხოვრების და გაუსახურების მიზნით ჩატარებულ საფინანსო-ეკონომიკურ და შრომით-სამოლვაწო ავებედით ღონისძიებებს და სხვა ამგვარი მოვლენის კვალად, მასების ცნობიერების პარალიზების მიზნით მიმდინარეობს სექსის პათოლოგიის აგიტაცია-პროპაგანდაც. სექსის პათოლოგიის წარმოჩენა ინტიმურ ურთიერთობათა ნორმად, რაც წარმოადგენს კიდეც საგანს ჩვენი მსჯელობისა.

მე აქ არ შევუდგები თანამედროვე სოციოლოგიაში მარკუზეს, ტურენის, ფრომის და სხვა დიდ მოაზროვნეთა მიერ დამუშავებული „ერთგანზომილებიანი ადამიანის", „ნიეთომანიის", „მომხმარებლური საზოგადოების", „სახელმწიფო-მონოპოლისტური ბიუროკრატიის", „სოციალური კონფორმიზმის" და ამის მსგავს, უაღრესად მნიშვნელოვან, ჩვენში მიმდინარე სავალალო სოციალურ-პოლიტიკური ძერების გასარკვევად გამოსაყენებელ მეცნიერულ ცნებათა განმარტებას. ზოგადად ვიტყვი: ეს ცნებები თანამედროვე სოციოლოგიაში ჩამოყალიბდა და გამოიყენება იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შესწავლის პროცესში, რომლებიც აპირობებენ „საზოგადოებრივ კავშირთა გაუსახურებას ანუ პიროვნულ-მოქალაქეობრივი შინაარსებისგან საზოგადოების გამოფიტვას" (მარკუზე) ანუ, საბოლოო ჯამში, ადამიანის დამონებას. მარკუზეს მიერ შემოტანილი ცნება Homo Consumens - ყოფილ მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში მონად ქცეულ სახელმწიფო-ტექნოკრატიული ბიუროკრატიით დაგეგმილი მოთხოვნილებებით მცხოვრებ ადამიანს ასახავს. მარკუზე წერს: „განვითარებული ინდუსტრიული ცივილიზაციის პირობებში აღმოცენებული მონები - არიან სუბლიმირებული გრძნობების მქონე მონები... ისინი მხოლოდ გარეგნულად განსხვავდებიან განელილ საუკუნეთა მონებისგან, ხოლო სულით და ხასიათით, დაბეჩავებულ-გაღარიბებული ცნობიერებით და მოთხოვნილებათა ცალსახოვნებით - ეგივ მონები არიან (იხ. H.Marcuse, One Dimentional Man, Boston, 1964, p.32).

გ. ლაჭავას ნახატი

გაუსახურების (პიროვნებისეული ძალთაგან გამოშიგნვის) გზით Homo Consumens-ად, ანუ, საბოლოო ჯამში, „სუბლიმირებული გრძნობების მქონე მონად" ადამიანის გადაქცევის პროცესში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლს ასრულებს „თავისუფალი სექსი". „სექსის თავისუფლების" პრინციპი ცნობილია „თითეული ეკუთვნის თითეულს" ანუ „თითეული კმაყოფილდება თითეულით". აქ მხოლოდ ოდესღაც აღენიშნავ, რომ „თავისუფალი სექსი" გულისხმობს, ერთი მხრივ, ისტორიულ-კულტურულად ჩამოყალიბებული ზნეობრივი ნორმების სრულ მოშლას, მეორე მხრივ კი სექსუალურ-საურთიერთობო საშუალებათა და ფორმათა კულტივიზაცია-მანიპულაციას. რაც მთავარია, „თავისუფალი სექსის" შინაარსი გულისხმობს ადამიანთა შორის ინტიმურ-სექსუალურ ურთიერთობათა გადაქცევას გამოყენებით-სამომხმარებლო ასპარეზად - სპეციფიკურ სამომხმარებლო სფეროდ, რომელშიც კაციც და ქალიც ნივთის ფუნქციას იძენს.

გასაკვირი არცაა, რომ „სექსის თავისუფლება" თავისთავად იწვევს ადამიანებში „გადახრების" გამწვავებას. გასაგებია „თავისუფალი სექსის" გადაზრდაც „სექსის პათოლოგიაში". საუბედუროდ, ბოლო წლებში, სამასო-საკომუნიკაციო საშუალებებმა საქართველოშიც ხელი მიჰყო „სექსის პათოლოგიის" პროპაგანდას - მის ჩვენებას ცხოვრების ნორმალურ მოვლენად. მეტიც, „სექსის პათოლოგიის" და, საერთოდ, უზნეობის წარმოჩენა ადამიანობის ნორმალური ურთიერთობის ფორმად, წარმოებს კულტურის პროფანაციისა და ისტორიის ხელოვნურად გაყალბების გზითაც. ასე, მაგალითად, ქართველობას დაეინებით შეაგონებენ, თითქოს მსოფლიოს ყველა გენიალური ხელოვანი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე სექსუალური პათოლოგიით იყო დაღდასმული (ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილ ქართველ გენიოსთათვის ვერ გაუბედნიათ დაებრალებინათ მამათმავლობა ან ამის მსგავსი „სექსუალური პათოლოგია").

უბრალოდ და პირდაპირ რომ ვთქვათ: ჩვენს თვალწინ დღისით-მზისით, სრულიად შეგნებულად და, რაც მთავარია, ხელოვნურად (თვალსაჩინო ტყუილით!) მიმდინარეობს უზნეობის წარმოჩენა ზნეობად - არანორმალურობის შეგონება ნორმალურობად.

ჩვენში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ შრომით ასპარეზზე უპირატესად „გადახრილებს" რომ ეძლევათ ავალა - ეს უკვე საანგგდოტო სინამდვილედაც იქცა.

მსჯელობის საგანს დავუბრუნდები და ვიტყვი: სექსის პათოლოგია უზნეობაა არა იმდენად ფორმალური თვალსაზრისით, რამდენადაც თავისი არსით:

1. სექსის პათოლოგია უზნეობაა და ავადმყოფობაა იმიტომ, რომ მტრობს და სპობს ადამიანთა შორის ბუნებით დაწესებულ და ადამიანის სულიერების დამამოწმებელ სიყვარულს, სიყვარულით კავშირს, ესეიგი - სულიერ კავშირს. ქალსა და კაცს შორის სიყვარულის განხორციელება ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია ზოგადად ადამიანური სიყვარულის აღსრულებისა და სრულყოფისაც; და როდესაც ხსენებული ასპექტი კნინდება და მრუდდება, შედეგად ამისა ქვეყნად ილეავა ზოგადად ადამიანური სიყვარულის ძალა.

2. იგი ბოროტებაცაა, რამდენადაც ღია ხასიათისაა, ანუ ახასიათებს საზოგადოებრივი განფენა - პათოლოგიის გამრავლება-გამრავალფეროვნების, პარტნიორთა გამრავალრიცხოვნების ტენდენცია.

3. უზნეობაა და ბოროტებაა კიდევ იმიტომაც, როა არღვევს ადამიანებს შორის კულტურით დაწესებულ და კულტურის განვითარებისთვის მოწოდებულ კავშირებს.

4. იწვევს ადამიანში დაბადებით ჩასახული ძველი, უარსაყოფი ლტოლვების სადისტურ-მაზოხისტური ფორმებით გამოვლინებას თვით სიცოცხლისთვის სახიფათო ფორმებით, კრიმინალური დანაშაულის დონეზეც.

5. იწვევს ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის მოშლას;

6. იწვევს ინდივიდის ფსიქიკის მორღვევას და, როგორც ბუნებით, ასევე კულტურით დადგენილი, სასიცოცხლოდ აუცილებელი, ნორმალური სოციალური და ბიოლოგიური მოთხოვნილებების ქრობას; საბოლოო ჯამში, იწვევს ადამიანის არა მარტო ცნობიერების დამცრობას, არამედ სასიცოცხლო ფიზიო-ბიოლოგიური ძალების ქრობასაც. - ესეიგი, იწვევს, როგორც სულიერ, ასევე ფიზიკურ გაცვედანებას.

სოციოლოგთა და ფსიქოლოგთა გამოკვლევების თანახმად, „თავისუფალი სექსი" ანუ „სექსის პათოლოგია" იწვევს ინდივიდის ჩაკეტვას თავის სუბიექტურობაში, შრომითშემოქმედებითი ძალის დასუსტებას და ინდეფერენტიზმს საზოგადოებრივი მოვლენებისადმი. მარკუზეს მართებული შეფასებით სექსის პათოლოგია და, საერთოდ სექსის პროპაგანდა „გამოიყენება სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებიდან, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრებიდან მასების გამოთიშვის მიზნით".

ჩვენშიც „სექსის პროპაგანდას" (და სხვა საშუალებებსაც) იმისთვის ხომ არ იყენებენ, რომ მასები „გამოითიშონ?"

თუმცა, „გამოთიშვა" კიდევ არ არის ისეთი სიავის მომასწავებელი, როგორც სულ სხვა ხასიათის უბედურება, დაკავშირებული „სექსომანიასთანაც": თუ კარგად ჩაეუკვირდებით ზემოთ ექვს პუნქტად ფორმულირებულ უზნეობას და ბოროტებას, დავინახავთ, რომ მასში ასახულია ადამიანთა მოდგმის კლების, შესაძლოა, სულაც ამოწყვეტის საზრისიც. ჩემთვის ცნობილ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მომენტი არ არის გამოკვეთილი. შესაძლოა, დიდი ერების სოციოლოგებისთვის ეს მომენტი არ არის მტკივნეული, მაგრამ იგი ფრიად შემაშფოთებელია მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენლისთვის.

აქ არც დროა და არც ადგილია პრობლემის გაანალიზებისთვის, თუმცა ანალიზის გარეშეც - ფაქტები თავისთვად მეტყველებენ: ვინაიდან სამასო-საკომუნიკაციო საშუალებით „სექსის თავისუფლების" პროპაგანდას მოსდევს ოჯახის ინსტიტუტის ნგრევა, სექსუალურ მოთხოვნილებათა სადისტურ-მაზოხისტური ფორმებით გამოვლენა, დესტრუქციული ლტოლვების გააქტივება, უზნეო-ავადმყოფურ ურთიერთობათა გამძაფრება სიცოცხლისთვის სახიფათო (კრიმინალური დანაშაულის) დონეზე, სასიცოცხლოდ აუცილებელი ფსიქო-ფიზიოლოგიური ბუნებრივი (ჯანსაღი) მოთხოვნილებების ქრობა საპირისპირო სქესს შორის და, რაც მთავარია, მოსდევს არა მარტო ფსიქიკური, არამედ ფიზიკური გაცვედანებაც - მაშასადამე, ვინაიდან სექსის პათოლოგიზაციას მოსდევს, ერთი მხრივ, მოქალაქეობრივი სრული პროსტრაციის და სიკვდილიანობის, ხოლო მეორე მხრივ შობადობის კატასტროფული კლების გამომწვევ-გამაღრმავებელი პროცესები, უნდა დავასკვნათ: „სექსის თავისუფლების" აგიტაცია-პროპაგანდა და მოსახლეობის ცნობიერებაში შთანერგვა სამასო-საკომუნიკაციო საშუალებებით - არის გენოციდის ერთ-ერთი უმძლავრესი საშუალება. ამ გზით არათუ გვარის ან ტომის, მთლიანად ერის ამოწყვეტაც ხდება შესაძლებელი. და ეს ბოროტება სრულიად ადვილად და სწრაფად შეიძლება განხორციელდეს ისეთ ავებედით სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში, კულტურის კატასტროფული ნგრევის ისეთ ატმოსფეროში, როგორშიც ქართველობა ვიმყოფებით. და ისმის კითხვა:

სხვა მრავალთან ერთად, „სექსის პათოლოგიასაც" ქართველობის გენოციდის მიზნით ხომ არ გამოიყენებენ?

ესეც უნდა ითქვას: გაუსახურების და წარხოცვის საფრთხეს მარტო ქართველობა არ განიცდით. დღეს მთელს მსოფლიოზე ვრცელდება „ხელმწიფვბაი ბნელისაი". და მაინც, ბოროტების განსაკუთრებული ხვწოლაა ქრისტიანულ და, უპირატესად, მართლმადიდებლურ სამყაროზე.

სხვა მრავალ სიავესთან ერთად, ქართველთ ჯიშისა და მოდგმისთვის მუდამ უცხო ეს რაღაც „სექსუალური პათოლოგიაა" - სასჯელად და განსაცდელად თუ მოგვევლინა.

რა შეიძლება დავუპირისპიროთ ამ ბოროტებას? მხოლოდ გულისხმიერი სიყვარული, როგორც სიცოცხლისთვის ბრძოლის - სიხარულითა და ღირსებით სიცოცხლის აღმვსები ძალა.

ДЕТ-ДАН ГАДАМОСЕЛІС ІМОТЕХОВНА — ЧАРАКОМПЕТЕНТЕНТЧРОБАА — ТОВЛІС ЧІТАІА

ВОЛОО დროს საქართველოში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები ხშირად აყენებენ ქვეყნის დსთ-დან გამოსვლის საკითხს. ამ თემაზე გეა-ს კორესპონდენტმა კომენტარი სთხოვა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს, კახა ჩიტაიას.

„თანამეგობრობაში ყოფნის პრობლემა არ არის დაკავშირებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან. სხვა საკითხია, როცა რუსეთის ცალკეული წრეები თანამეგობრობას განიხილავენ, როგორც საბჭოთა კავშირის აღდგენის საშუალებას. ჩემი აზრით, დსთ არის ძალიან მნიშვნელოვანი და ეფექტური იარაღი ამ იდეის საწინააღმდეგოდ. მის შეხვედრებზე ყველა ქვეყანა, მათ შორის, ბელორუსიაც კი ხშირად ისეთ პოზიციას იკავებს, რომელიც გამორიცხავს დსთ-ის ასეთ განმარტებას" - აღნიშნა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ.

მისი თქმით, დსთ არის მაღალი ტრიბუნა, სადაც ყოველგვარი სირთულის გარეშე საქართველო აყენებს მისთვის პრობლემატურ საკითხებს და საკმაოდ წარმატებულადაც ჭრის მათ. ეს არის დამატებითი იარაღი ქვეყნის დიპლომატიურ არსენალში. „პირველივე დღიდან ამ ორგანიზაციაში ყოფნის მომხრე ვიყავი. დსთ არის ჩვეულებრივი საუკეთესო ორგანიზაცია, როგორც ევროსაბჭო, ეუთო და სხვა. იქ ვხედებით სახელმწიფოებს, ჩვენც გარკვეული უფლებები გაგვაჩნია. ამიტომ დღეს დსთ-დან გამოსვლის საკითხის დაყენება ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის არაკომპეტენტურობაზე მიანიშნებს" - განაცხადა კახა ჩიტაიამ.

დსთ-დან გამოსვლის შემთხვევაში კი, პარლამენტის წევრის აზრით, არაფერი შეიცვლებოდა, გარდა იმისა, რომ ჩვენი ოპონენტები, პირველ რიგში, რუსეთში, ამ ფაქტს ჩვენსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ.

რაც შეეხება რუსეთს, როგორც კახა ჩიტაიამ აღნიშნა, საქართველოს პოლიტიკური წრეები ყოველთვის ღიად და ყოველგვარი მორიდების გარეშე აყენებენ იმ საკითხებს, რომლებიც პრობლემატურია ორი ქვეყნის ურთიერთობაში. „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები არ უნდა იყოს განხილული იზოლირებულად, ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს გააზრებული და პოლიტიკოსს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ამან საქართველოს" - დასძინა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ. (გეა)

ЧІТАІА ОМІС ЕНІАЛМДЕГІА

„ОДЕЛАА გარკვეული წრეები აფხაზეთში ომით შესვლაზე საუბრობენ, მათ ის საკითხიც კი არ აქვთ ბოლომდე გააზრებული, რა პოზიციას დაიჭერს ამ შემთხვევაში ჩეჩნეთი. აღარაფერს ვამბობ რუსეთზე ან სხვა ქვეყნებზე" - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, კახა ჩიტაიამ.

მისი აზრით, იმის თქმა, რომ აფხაზეთს 5 ათასი მეომარი ჰყავს და ჩვენ 10-20 ათასიანი ჯარით შეეძლებთ მათ დამარცხებას, გაუმართლებელია.

„ის ადამიანები, რომლებიც ამას ითხოვენ, ან პოლიტიკაში არ არიან გათვითცნობიერებულები, ან, ელემენტარულად, სპეციალურად ცდილობენ ქვეყანაში არასტაბილური ვითარების შექმნას" - აღნიშნა კახა ჩიტაიამ.

МАРІКА ХОФІРІА, ВЕА

სტალინის პროსკრიპი

მეცხრე გვერდიდან

ძლოს“. კონფერენციის მსმენელთა მასაში, ცხადია, გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, თუ რამდენად ეთანხმებოდა ეს თეზისი დოგმატურ მარქსიზმს. სტალინმა ეს, აშკარაა, შეამჩნია და დაუმატა: „მე შემოქმედებით მარქსიზმს ვემხრობი“. აქ ის უკვე მომავალი სიდიადით წარმოდგა.

ლენინზე პირველი შეხვედრისთანავე მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება: ლენინმა იგრძნო ამ რევოლუციონერში რაღაც ძლიერი და ბნელი. 1914 წელს ტურუხანსკში, ენისეისკის გუბერნიაში, გადაასახლეს. იმ წლის ნოემბერში ლენინი ჟენევიდან სწერს თავის მეგობარ კარპინსკის: „ერთი დიდი სათხოვარი მაქვს შენთან: შეეცადე გაიგო კობას უკანასკნელი გვარი (იოსებ ჯ., ჩვენ აღარ გვახსოვს), ეს ძალზე მნიშვნელოვანია“. სტალინი გადასახლებაში თავის ნამდვილი გვარით იმყოფებოდა – ჯუღაშვილი, და სწორედ ეს გვარი ვერ გაიხსენა ლენინმა. აქ ლენინი იხსენებს და ვერც იხსენებს სტალინს: განცდა რაღაც ბნელისა და უცხოსი, ამასთანავე, მიმზიდველისა. ოქტომბრის გადატრიალებამდე ცოტა ხნით ადრე ლენინს გერმანიის აგენტობა დასდეს ბრალად. ლენინის კეთილშობილება აღშფოთდა, მან გადაწყვიტა პეტროგრადის მაშინდელი საბჭოების სასამართლოს წინაშე გაემართლებინა თავი. სტალინმა მყისვე იგრძნო საშიშროება და დაარწმუნა ლენინი, რომ წასვლის უფლება არ ჰქონდა. შესაძლოა, ამ უეცარმა გადაწყვეტილებამ „ოქტომბრის“ ბედი გადაწყვიტა. გადატრიალების შემდეგ სტალინი გვერდიდან არ მოშორებია ლენინს, თუმცა კვლავ უჩინარი რჩებოდა. როცა ტროცკიმ 1918 წლის 15 თებერვალს ბრესტ-ლიტოვსკიდან ტელეგრაფით ითხოვა შემდეგი ინსტრუქციები, ლენინმა უპასუხა: „სანამ თქვენს შეკითხვას პასუხს გავცემდე, მსურს სტალინს მოველაპარაკო“. ტროცკიმ აქ ალბათ პირველად იგრძნო, ვისთან ექნებოდა საქმე მომავალში.

სტალინს მხოლოდ ლენინისა სწამდა. მაგრამ ლენინის გვერდით იზრდებოდა მეორე ფიგურა: ტროცკი. თუ ლენინი ბედი იყო რევოლუციისა, ტროცკი რევოლუციის ნახევარბედად მოევლინა – ნახევარბედიც არსებობს. გენია ლენინში უფრო იყო განხორციელებული, ხოლო ტალანტი – ტროცკიში. ტროცკის სიტყვა შედეევრი იყო: ის ქაფიანი მღელვარე ტალღებივით იზრდებოდა და შორს იტაცებდა მსმენელს. ლენინის სიტყვა სადა იყო, უბრალო, უპათოსო, მაგრამ მკაფიო, და უფრო ძლიერად მოქმედებდა. ერთის სიტყვა ათრობდა, მეორისა მართავდა. ტროცკის სტილი დახვეწილი იყო: მარქსის შემდეგ არც ერთ მარქსისტს ასე მოხდენილად არ უწერია. ლენინს არ გააჩნდა სტილი. მისი წინადადებები გრძელი და მძიმე იყო, მაგრამ ისინი უფრო მეტად არწმუნებდნენ მკითხველს. ტროცკი რევოლუციის გარდა სხვა პრობლემებითაც იყო დაკავებული – ხელოვნებით, ლიტერატურით, თეატრით. ლენინს მხოლოდ ერთი პრობლემა ჰქონდა: პროლეტარიატის გამარჯვება რევოლუციის გზით. ნებისყოფის დიდი დაძაბვით იგი ერთადერთ გზას ეძებდა მარტორქასავით. ტროცკი, როგორც რევოლუციონერი, მიხვეულ-მოხვეული, ხანდახან მცდარი გზებითაც დადიოდა. იქნებ სწორედ ამაში იყო მისი ნახევარბედი. ტროცკის ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ დიდი რევოლუციონერი ყოფილიყო, ოღონდ ბოლშევიკური ფსიქიკა აკლდა – ასეთი რამეც არსებობს. სახარებაში ქრისტეს „ძე ღვთისას“ და „ძე კაცისას“ უწოდებენ. ევრო-ამერიკელ ადამიანში ძე ღვთისა თითქმის მოკვდა. ლოგოსის ნაცვლად მასში რაციო მეფობს. უღმერთო ბოლშევიკს ლოგოსი არ სჭირდება, მისთვისაც რაციო ყველაფერია. აქ ის სავსებით ისეთივეა, როგორც ევროპელი ან ამერიკელი. მაგრამ ევროპამ და ამერიკამ ლოგოსთან ერთად სიცოცხლის ქვედა შრეებიც დაკარგეს: მიწა, ინსტიქტები, ფესვები, წინათგრძნობა. ბოლშევიკებმა კი ეს შრეები უკლებლივ შეინარჩუნეს. ინდიელის თავიდან რომ ღვთიური ცეცხლი აღმოგვეფხვრა და მის ნაცვლად ინტელექტი ჩაგვენერგა, ბოლშევიკურ ტიპს მივიღებდით. რაციო და ინსტინქტი – უკეთესი ნაზავი წარმოუდგენელია რევოლუციონერისთვის. ლენინს ჰქონდა ეს ნაზავი, ტროცკის – არა. მას აკლდა ბოლშევიკის რასიული ფსიქიკა. ანდერძში ლენინმა თავის მემკვიდრეებს შორის ტროცკი პირველ ადგილზე დააყენა, მაგრამ საკვირველია, იქვე დაუმატა: ტროცკი არ ყოფილა ბოლშევიკი.

გაგრძელება იქნება

სტალინის ვაჟიშვილი იაკობი...

ათიოდე წლის წინ სადღაც წავიკითხე ასეთი უცნაური წერილი: იმერეთში გეიანი შემოდგომის ერთ სუსხიან დღეს წვიმა ჟინჟღლავს და ციცი ქარი ჰქრის, ავტომაგისტრალზე „პალტარატონკის“ მარკის მანქანა მიდის, რომლის კაბინაში გასამხედროებული მძღოლის გვერდით ჩასუქებული რუსი მაიორი საწვიმარ „პლაშში“ გახვეული ზის, მანქანის საბარგულზე კი შავ კოსტუმში მსუბუქად ჩაცმული ბიჭი დგას.

მანქანა ერთ-ერთ მოსახვევში ანელებს სვლას და სასადილოსთან ჩერდება. მანქანიდან ჩამოხტა ოფიცერი და მძღოლი, რომელიც გათოშილ ხელებს ისრესს, სიცივეშესულ ტანს აურიალებს.

ოფიცერმა და მძღოლმა სასადილოში შესვლისთანავე ბუხარში აგიზგიზებულ ცეცხლს მიაშურეს და მასპინძელს დანაყრება სთხოვეს.

მასპინძელმა ცეცხლთან ახლოს მისწია სუფრა, სადაც არაყი და სხვა სურსათ-სანოვაგე დაალაგა და მოსულებმა როდესაც გატეხეს პური, მაშინ გაახსენდათ მანქანის ძარზე მდგარი ბიჭი და შეეცოდათ. მძღოლი გავიდა მის მოსაყვანად. სასადილოში შემოსულმა ყმაწვილმა მორცხვად დაიკავა მაგიდის ერთი კუთხე, საჭმელზე უარი სთქვა.

ოფიცერმა გახსნა ბოთლი და ჭიქებში დაასხა არაყი. ჭიქა მიუჭახუნა მძღოლის ჭიქას და სამშობლოს სადღეგრძელო წარმოსთქვა.

ყმაწვილკაცსაც შესთავაზეს ჭიქა არაყი, მაგრამ მან იუარა და სთქვა, რომ ჯერ მას არაყი არასოდეს დაულევია.

ხუთიოდე წუთის შემდეგ მაიორმა მეორედ შეავსო ჭიქები და პირველი ჭიქით მადაგახსნილმა ომახიანი ხმით სტალინის სადღეგრძელო შესვა და სხვებსაც დააძალა, მაგრამ ყმაწვილმა ისევ უარი სთქვა არყის დალევაზე, მაშინ ოფიცერმა უთხრა, შენ როგორ, სტალინის სადღეგრძელოსაც არ სვამო. ყმაწვილკაცმა აიღო ჭიქა და დაბალი, თითქმის მოგუდული ხმით სთქვა: მადლობას მოგახსენებთ მამაჩემის დღეგრძელობისათვის – გაუმარჯოს სტალინსო. არაყი ცოტა მოსვა და ხველა აუვარდა.

ყმაწვილის ეს სიტყვები მხოლოდ მასპინძელმა გაიგონა და კისერზე გადაკიდებული ხელსახოცით და თეფშის წმენდით მიუახლოვდა ყმაწვილს, ჰკითხა, შვილო, რა სთქვი შენ, მე მომესმა, თუ როგორ სთქვი, მადლობას მოგახსენებთ მამაჩემის დღეგრძელობისათვის – გაუმარჯოს სტალინსო.

– დიახ, მადლობას მოგახსენებთ, მამაჩემის დღეგრძელობისათვის...

– რა გინდა, როგორ მოხვდი აქ, ჩვენთან, სტალინის შვილი და საით მიდიხარო.

ყმაწვილმა უთხრა, რომ იგი თავისი ბებიის დასაფლავებაზე ჩამოვიდა, დიდი ბებიის.

სუფრასთან მსხდომნი ამ მოულოდნელობამ გააოცა, მათ ცეცხლთან ახლოს დასვეს ყმაწვილკაცი, კარგად გააშრეს და კარგადაც გაუმასპინძლდნენ ტკბილეულითა და ხილით. მოულოდნელობით დაბნეულმა მაიორმა მანქანის კაბინაში შესთავაზა მასთან ერთად ჩაჯდომა, მაგრამ ბიჭმა უარი უთხრა სიციცოვის გამო. მაშინ მან თავისი წყალგაუმტარი „პლაში“ მისცა და ისევ ძარაზე მდგარმა გააგრძელა ბიჭმა მგზაურობა.

მე ამ პატარა წერილში მინდა აღენიშნო ის, თუ როგორი თავმდაბლობითა და უბრალოებით იზრდებოდნენ სტალინის შვილები და არა მარტო შვილები, არამედ მთელი ოჯახი და ამასთანავე დიდი სტალინი თვითონ იყო მათთვის მაგალითის მიმცემი არა მარტო ჩაცმაში, არამედ ჭამა-სმაშიც და საერთოდ ყველაფერში, რაც ნამდვილად აკლია არა მარტო დღევანდელი საქართველოს, არამედ ყველა დროის ქართველი „დიდკაცობის“ ოჯახშვილობას.

ბორის გოგია

კონფერენცია „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“

ბუშინ თბილისში, სასტუმრო „სიმპატიაში“ გაიხსნა კონფერენცია „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“, რომლის ორგანიზატორები არიან ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის განყოფილება, სმკ-ი და „თსუ სტუდენტთა კავშირი“.

კავკასიის რეგიონის ახალგაზრდობისთვის უკვე ტრადიციად იქცა მსგავსი კონფერენციები, რომელზეც მსჯელობის მთავარი თემა ურთიერთდიალოგისა და მოლაპარაკების საფუძველზე კავკასიის სახელმწიფოებს შორის პარტნიორული და კეთილმეზობლური დამოკიდებულება და მომავალი თანამშრომლობის მოძიების გზებია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ინგუშეთისა და ჩეჩნეთის წარმომადგენლები, რომელთაც საქართველოს პარლამენტის სახელით დეპუტატი დავით ტყეშელაშვილი მიესალმა.

„XXI საუკუნისათვის კავკასია ერთიანი, სტრატეგიული და ყველა მიმართულებით განვითარებული უნდა იყოს, რაშიც მთავარი წვლილი სწორედ ახალგაზრდობამ უნდა შეიტანოს“ – აღინიშნა კონფერენციაზე.

როგორც სმკ-ის მთავარმა მდივანმა, ლერი გელენავამ განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას, „მსგავს შეხვედრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან პირდაპირი დიალოგი აგვარიდებს იმ დაპირისპირებას, რომლის პროვოცირებასაც ხშირად ცდილობს რუსეთი და სწორედ ამ პროვოცირების მკაფიო გამოხატულება იყო ლარსის ხეობაში ჩვენს მიერ გამართული აქციისას რუსეთის მცდელობა, დავეპირისპირებინეთ ჩრდილოეთ ოსეთის ახალგაზრდობასთან“. გელენავას თქმით, ურთიერთდიალოგით კავკასიის ახალგაზრდობა აფიქსირებს, რომ მესამე ძალის ჩარევა უნდა გამოირიცხოს კავკასიის ხალხთა ურთიერთობაში. რაც შეეხება ჩრდილოეთ ოსეთის დელეგაციას, ისინი „ტექნიკური მიზეზების“ გამო ვერ ჩამოვიდნენ მიმდინარე კონფერენციაზე, რომელიც ოთხშაბათამდე გაგრძელდება. უმნიშვნელოვანესი კი ამ კონფერენციაზე ის იყო, რომ ქართულმა მხარემ სტუმრებს შესთავაზა „კავკასიის სტუდენტთა სახლის პროექტი“, რომელიც თუ განხორციელდება, მართლაც მნიშვნელოვანი იქნება „მშვიდობიანი კავკასიის ერთიანობისათვის“. (გეა)

განცხადებები

ბინები

სასწრაფოდ, იაფად, საირმის ქუჩაზე, ბელეტაუზე, კარგი პროექტის ერთოთახიანი ბინა სრული ლოჯიით, საშუალო რემონტით, ტელეფონით, სარდაფით, ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 52-68-51; 95-77-05; 99-75-01

იყიდება 4 ოთახიანი იზოლირებული მზიანი სუფთა ბინა ბუხრით, თავისუფლების მოედანთან. საერთო ფართი 152 კვ.მ, ფასი 50000$ ტელ. 93-36-48

იყიდება 2 ოთახიანი არასტანდარტული, იზოლირებული მაღალჭერიანი ბინა 18+16 ოთახებით. ფასი 24000$ ტელ. 37-00-83; 93-49-85

იყიდება 2 ოთახიანი ბინა მეტრო „ისანთან“ 150 კვ.მ. ტელეფონით, ავტოფარეხით და სარდაფით, პატარა ეზოთი, საწყისი ფასი 11000$ ტელ. 74-54-62; 99-71-68; 8-77-40-08-71 იკითხეთ ბესო

იყიდება ან იცვლება საბურთალოს ცენტრიდან ინდივიდუალური პროექტის 5 ოთახიანი ბინა 2 ოთახიან ბინაზე ისევ საბურთალოზე (70 კვ.მ ფართობი სარდაფით) იოსებიძის 51ბ. ტელ. 38-76-15; 38-58-28 მერი ან გელა

იყიდება 5 ოთახიანი ბინა, ჭერის სიმაღლე 3,40, იოსებიძის ქ. №60 II სად. III სართ. შესასვლელი ბულაჩაურის ქუჩიდან. ტელ. 37-11-62

ვყიდი სასწრაფოდ ერთოთახიან ბინას რუსთავში. ფასი 1000$ ტელ. 63-63-25 ჰანრი, ხატია

ვყიდი ორსართულიან ბინას ბორჯომში, ავტოფარეხით, სათავსოებით, დიდი ეზოთი და ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 93-18-41 ხათუნა

იყიდება 2 ოთახიანი (გადაკეთებული 3-იანად) ბინა 2(16) ლოჯიით, მუხის პარკეტით, მუხის კარებებით, დურ-ალუმინის ფანჯრებით, ცხელი წყლით, ტელეფონით, რკინის კარით. ფასი 15000$ მის. ნუცუბიძის პლატო II მ/რ IV კვ. I კ. ბინა 2. ტელ. 32-47-68

იყიდება მანქანის მაგნიტოფონები Alfa, Beta, Grundig, მანქანის მუსიკალური ცენტრი Sound2000 (მაგნიტოფონი, CD-პლეიერი გამაძლიერებელი) ტელ: 99-69-81 (გივი)

EXPRESS AUDIT SERVICE

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზია N 091;
გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას
ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სავალუტო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ანგარიშების შეფასება-გადიფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ.5 მე-2 სართ.
ტელ: 93-15-89

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444